



ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne
„I V E R I A“

Directeur E. PATARIDZE.

Rédacteur S. TCHIRAKADZE.

მაისი 1971

N° 14

M A I 1971

შ ი ნ ა ა რ ს ი;

- 26 მაისი და თებერვალი.
- 50 წლისთავზე მ. კალანდაძე
- სიტყვა 19 მარტის საჯარო კრებაზე მ. ქაჯორაძე
- ბრეჟნევი—კოსიგინ—პოდგორნის წინააღმდეგ ვლ. პატარძიძე
- მარქსიზმ-ლენინიზმის ძლიერება და უძლურება სევ. ჭინაჭავაძე
- დამსხვრეული ილიუზიები ვლ. მაყაშვილი
- სიტყვა წარმოქმნილი ლენ. გ. კვინიტაძის საფლავზე ვლ. პატარძიძე

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.
LE PARTI NATIONAL.DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS
1971



ივერია

ქართული ენციკლოპედია
პერიოდული გამოცემა

მაისი 1971

№ 14

Ma i 1971

მაისი და თებერვალი.

ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივსა და რთულ ისტორიაში, შეუძლებელი თუ არა, ფრიად ძნელია ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის თარიღების დადგენა როგორც არის 1918 წლის მაისი და 1921 წლის 21 თებერვალი.

26 მაისს, საქართველო, რომელიც არც იურიდიულად, არც გეოგრაფიულად არ არსებობდა, არამედ უბრალოდ, რუსეთის იმპერიის გუბერნიების სახელს ატარებდა, ვით სასწაულებრივ მკედრებით ამდგარი, ყოველმხრივ ორგანიზებულ ერის სახით, მოაფლიოს წინაშე წარსდგა და თავისუფალ სახელმწიფოდ არსებობის სურვილი განაცხადა. ამ მოვლენას თან სდევდა მისთვის დამახასიათებელი თვისებები: ახლად-ფეხადგმულ სახელმწიფოს ტაატი, მაგრამ საერთო დიდი ენთუზიაზმი და ღრმა სურვილი ქვეყნის მოწყობა-მოვლისა.

თებერვალში, უცხო იდეოლოგიის მატარებელმა უცხო ხალხმა, მთელი ერის იმედის ლამპარი უხეშად ჩაგვიქრა და ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი, ცხოვრების ყაიდა და წყობა თავს მოგვანხვია.

ორმოცდაათმა წელმა განვლო მას აქეთ. ყველასათვის ცნობილია თუ ამ ხნის განმავლობაში, საქართველომ რა პირი გამოიარა: სისხლში ჩაშხრჩვალნი აჯანყებები; ხალხის მასიური გადასახლება; წინააღმდეგობის უნარის მოსპობის მიზნით, ხალხის აქტიურ ელემენტის ამოწყვეტა; და ბოლოს, ომში, დიდი რუსეთის ინტერესებისათვის, ასიათასების გაწირვა.

დღეს რაშიგან ვართ? რა შედეგებს მიაღწია ხალხის ბედნიერების და თავისუფლების სახელით მოქმედმა იდეოლოგიამ? ნახევარსაუკუნოვან ჰაპანწყვეტისა და აურაცხელ მსხვერპლის ვადების შემდეგ რა მიიღო ხალხმა? მატერიალურად—სრულიად ელემენტარული მინიმუმი. შიმშილი არ არის, ხალხი ასე თუ ისე ჩაცმულ-დახურულია, ქოხმანებში აღარ ცხოვრობენ. ფართო მასისათვის ეს არის და ეს. სამა-

გიეროდ ახალი არისტოკრატია (მმართველი წრე, ტექნოკრატია, ხალტურისტები და შენიღბული ქურდები) აღვირახსნილ ფუფუნებაში ცხოვრობს.

რა დღეშია პიროვნული თავისუფლება? მთელი ქვეყანა სატუსაღოს ატმოსფეროში ცხოვრობს. უცხოეთში ჩამოსულ ტურისტებს თუ მივლინებაში მყოფ მეცნიერებს თუ ხელოვნების მუშაკებს. დარაჯად, ჩეკისტები დაძვებნიან და თუ «ეტაპს» ვინმე გამოაკლდა (ე. ი. კაცმა უბრალოდ სხვა ქვეყანაში ცხოვრება არჩია), ატყდება აურ-ზაური, სწორედ ყველა იმ დამახასიათებელ ნიშნებით, როგორც ციხეში ხდებოდა რუსთა ტუსაღი გაიქცევა: სკანდალი, თავის მოჭრა, სიბრძნვილი «როგორ გაგვექცა»-ო. იქ მყოფთა რეაქციაც სწორედ იმგვარია, როგორც—ციხეში მყოფი ტუსაღებისა: «ეს რა გვიყო, ესლა ჩვენ აღარსად გაგვიშვებენ, ჩვენს მიმართ მკაცრ ზომებს მიიღებენ»-ო და თვით რომ კარგად გამოჩნდნენ, «გაქცეულს» მოლაღატედ აცხადებენ.

სიტყვის თავისუფლება ახეთივეა. თუ ვინმე ისე «გასულელდა», რომ იქ ადგილობრივ ხმა ამოიღო და რეჟიმის კრიტიკა წამოსცა, ჯანმრთელ კაცს გიჟად გამოაცხადებენ და სულით დაავადებულთა სახელში ჩაჰკეტავენ.

ასეთ ქვეყანაში როგორღა უნდა იყოს ეროვნული თავისუფლება? ქართული სახელმწიფო. მისი მთავრობა და მინისტრები, ყოველივე ეს, ჩვენში, შინაარს გამოცლილი სიტყვებია მხოლოდ.

საბჭოთა რუსეთის მაგვარი ცენტრალიზებული სახელმწიფო არასოდეს არსად არ არსე ულა (ძველად ამისათვის არც ტექნიკურ-მატერიალური საშუალება და არც მეცნიერულად შესწავლილი მეთოდი არსებობდა); საქართველო ეკონომიურად და კულტურულადაც რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი მამოძრავებელი ბორბალია და სხვა არაფერი. ჩვენი ქვეყანა განიცდის მაქსიმალური სიღრმეით ნაწარმოებ ეკონომიურ კულტურულ და ეთნოგრაფიულ კოლონიზაციას (რუსთა რაოდენობა 50 ათასიდან 500 ათასამდე ავიდა).

ყოველივე ამის შემდეგ კაცი ან რეგენი ან სინდისისაგან გარეცხილი უნდა იყოს, რომ ასეთი მდგომარეობა ნორმალურად მიიჩნიოს, ხოლო ვინც იქამდე მიდის, რომ ამას ბედნიერებას უწოდებს, მისთვის სახელიც ძნელი საპოეტეცია.

აჰა! თებერვალი ქართული ზემის თარიღი არ არის. ქართველმა ხალხმა მას შავი თებერვალი დაარქვა.

ზეიმი 26 მაისი იყო და იგი კვლავ გაგვიტენდება.

50 წლისთავი.

... მაენსა და მაენს, უკეთუ იმდენი
ვაქაცობა არ აღმოჩნდება, რომ გულ-
წრფელი იყოს!—ნამუსი მაინც აღმოჩე-
ნოდეს იმდენი, რომ არ იცრუოს!

მუხრან მაჭავარიანი.

«ლიტ. საქ» «მხოლოდამნაირად». I. I. 71.

სახელმწიფოთა ურთიერთობაში კეთილ სინდისიერება და სათნოება იშვიათი ხილია, მაგრამ მსოფლიო ისტორიაში დიოგენის სანათურით საძიებელია მეორე მაგალითი, რომ დახმარებისა და კაცთმოყვარეობის სამოსელში იმდენი მზაკვრობა, ლალატი და ვერაგობა მოთავსებულ იყოს, რამდენიც რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებაში 250 წლის მანძილზე დავრთვდა.

1801 წელს ფიცისა და ნამუსის გატეხით, საქართველოში შემოჭრილ მეფის რუსეთს ქართველები აჯანყებებრთ შეხედნენ. ხოლო 120 წლის შემდეგ წითელი რუსეთის შემოსევას ქართველმა ერმა ომითა და ოთხი აჯანყებით უპასუხა. პირველ შემოსევას წინ უსწრებდა ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება. რუსეთი საქართველოს დაცვისა და მფარველობის პირობასა და აღთქმას იძლეოდა. კომუნისტური რუსეთის შემოსევასაც წინ უსწრებდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ტერიტორიის ხელშეუხლებლობის პირობა. მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში ეს პირობა ორივე რუსეთმა დაარღვია. აქ ნათლად გამოჩნდა რუსული პოლიტიკის ბუნება, მაგრამ ასევე ნათლად—ქართველი ხალხის მტკიცე და ურყევი ლტოლვა და მოუკიდებელ ცხოვრებისაკენ. ასე რომ აქ რაიმე ბუნდოვანი, გაუგებარი და გამოურკვეველი არაფერია დარჩენილი—ყველაფერი გარკვეულია და ცხადი. მაგრამ ცხადზე-უცხადესია ის, რომ საქართველოს არ სურს ვინმეს ყმობა, რომ უცხო უღლის გადასავდებით მუდამ იბრძოდა, იბრძვის და მუდამ იბრძოლებს.

უკვე ნახევარი საუკუნეა—რაც საქართველო კომუნისტურმა რუსეთმა დაიპყრო. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს საუთმპყრობელნი ამ დაპყრობას რევოლუციას უწოდებენ. განსაკუთრებით მტვერ-ბუქი და ფუქსავატი ქუქა-ქუხილია ატეხილი საქართველოს დაპყრობის 50 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. ქარბვეტია უჯრანლისტიას ის, თუ ოფიციალური ისტორიკოსი—ყველა იმის მტკიცებაშია, რომ 1921 წლის თებერვალში ქართველი ხალხი აუჯანყდა მის მიერ არჩეულ მთავრობას და რუსეთი მოი-

წვია დამხმარე ძალათ. განა საჭიროა იმის თქმა რამდენი სიბინძურეა ამ გაცულებულ მტკიცებაში და რა ზედმიწევნილობით გვიხატავს ამ უცნაურ ჯიშის ხალხს, მათ ზნეობრივ ავლა-დიდებას, კანდიერებას, თავგასულობას და უპატიებელ საქციელს?

მართალ საქმეს ყვირილი და დეფა ზურნა არ ესაჭიროება — ის თავისთავად ღაღადებს. დიხხ. საქართველოში აქა რქადგილი ქქონდა «აჯანყებებს», რომელსაც რუსეთიდან შეწონილი ფულით ახდენდნენ. ამ ფულის წყალ ბრთ თიხოროლოა გარეწარსაც კპოულობდნენ. მერე რა? აყვა ხალხი ამ გარეწარებს? რასაკვირველია, არა. და როცა აქედან გადაფერი გამოვიდა მოსკოვმა საქართველოს დაპყრობა გადაწყვიტა. ამისათვის კი საჭირო იყო სპატიო სხნძი და აქთ საქმეებში მოსკოვის დახელთებულმა ოსტატებმა ის აღვილად გამოიხახეს: საქართველოს მთავრობა, თითქოს, სიტყმატიურად არღვევდა 1920 წლის მაისში დადებულ ხელშეკრულებას და ეხმარებოდა თეთრგვარდიელების გენერლებსა და ანტანტას, ე. ი. ინგლისელ ოკუპატებს ბათუმში, რნ გლისელებმა მართლაც მოახდინეს ბათუმის ოკუპაცია. მაგრამ ამისათვის მას ჩვენ ვებრძოდით? საბჭოთა რუსეთმა ხელშეკრულება მაშინ დაგვიდო, როცა ჩვენში ანტანტა იყო — შემოგვესია კი, როცა მან ბათუმი დატოვა. არც თეთრგვარდიელ გენერლების დახმარების საბჭოთა სტრატეგია, რადგანაც ამ გენერლების კაპიტანებს არ იყო რუსეთის ტერიტორიაზე, როცა ჩვენ რუსეთი შემოგვესია. მოკლეთ, საქართველო დაიპყრეს. ეს დაპყრობა რუსეთის გეგმაში შედიოდა. მაგრამ მისი განხორციელება თურქეთთან შეთანხმებას მოითხოვდა. ამ გეგმის ექვნიუტანლი ბაქო წინდები ფაქტი მეტყველებს: 1920 წლის ნოემბერს მოსკოვში პარტიულ კომიტეტების პასუხისმგებელ მდივნების თათბირზე ლევ ტროცკიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა: აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ჯერი საქართველოზე მიდგა, ალბათ, სულ მოკლე დროში ბაქოს ბათუმი დაუკავშირებთო. საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმია ამ დროს სომხეთსა და აზერბაიჯანში იდგა. მოსკოვმა მის სარდალს გენერალ ჰვერს ვრცელი დასაბუთებული მხსენება მოთხოვა — თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოს დაპყრობა. ჰვერმა მოახსენა მოსკოვს, რომ ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარებას თურქეთის დაყოლიება ესაჭიროებოდა. მოსკოვმა ამ უკანასკნელთან ადვილად მოაგვარა ეს საქმე და 11 თებერვალს 1921 წელს მეთერთმეტე არმიამ საქართველოს საზღვრები გადალახა.

ამ ერთი წლის წინეთ რუსულ ენაზე გამოვიდა ვრცელი ნაშრომი — «ლენინი და ამიერ-კავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება 1921-1923 წწ.» გამოცემა «პიასტახი» ერევან 1949 წ.

შეკვეთა 1089—ტირაჟი 7.000. ცხადია, ნაშრომის მცირე ტირაჟი მოწმობს იმას, რომ ის ფართო საზოგადოებრიობისათვის არ არის გათვალისწინებული. ხსენებულ ნაშრომის 57 გვერდზე ავტორი ს. ვ. ხარზადარიაიანი წერს:

«საქართველოს მშრომელების მოთმინების ფილა აივსე და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძველამოსილი აჯანყებები ჯერ აღმოსავლეთ და შემდეგ დასავლეთ საქართველოს მოედვენ. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა 1921 წლის 16 თებერვალს ხელში აიღეს ძალა-უფლება.»

ამ სულელური რომისათვის ავტორი არ არის საყვედურის ღირსი, რადგანაც ის სხვა ადგილას გარკვევით ლაპარაკობს, თუ რაგვარ მხადდებოდა საქართველოზე თავდასხმა-ავტორი (56 გვ.) გვამცნობს:

«1921 წლის 28 იანვარს საქართველოს საკითხი განხილული იყო რუსეთის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ლენინის რეზოლუციაში, რომელიც პლენუმმა მიიღო ნათქვამია: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალოს საქართველოსთან ურთიერთობის შეწყვეტის ჯერჯერობით შეჩერება და მიეცეს დირექტივა კავკასიის ფრონტის სარდლობას საქართველოსთან ომის დაწყების მზადებისათვის. 14 თებერვალს პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის ორ ბიუროს გაერთიანებულ სხდომაზე დადასტურებული იყო ლენინის მიერ შედგენილი ტელეგრამის ტექსტი მეთერთმეტე არმიის სარდლობისადმი («წინააღმდეგი» რადეკი. «თავი შეიკაფა» კრესტინსკიმ). ტელეგრამაში ნაბრძანები იყო საქართველოში შექრა და აჯანყებულ საქართველოსთვის დახმარება.»

«აჯანყებულ საქართველოსთვის დახმარება»—მეთერთმეტე არმიის ჯარისკაცებისათვის იყო ჩაკვეტებული—პროპაგანდის მიზნით, რადგანაც ლენინმა ძალიან კარგად იცოდა, რომ საქართველოში არავითარ აჯანყებას არ ქონია ადგილი. ამას ადასტურებს თვით ლენინი. 1921 წლის 28 თებერვალს მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ლენინი თავის სიტყვაში ამბობდა: «ჩვენ ვიცით, რომ აჯანყება დაიწყო იმ ნეიტრალურ ზონაში, რომელიც საქართველოსა და სომხეთს შორის ძვეს და შიგ სომხის და რუსის მცხოვრებთა ნაწილები მონაწილეობდნენ.»

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ეჭვმიუტანელი დოკუმენტი, რომლის ავტორი გახლავთ ცნობილი კომუნისტი ბესო ლომინაძე. ამ დოკუმენტში ზუსტად ასახულია საქართველოს დაპყრობის ამბავი, ქართველი ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება შემოსეულ მტრის მიმართ და მაშინდელ ქართველ კომუნისტების საქმიანობა. ეს რუსულ ენაზე დაწერილი 60 გვერდიანი ბროშურა გახლავთ. მისი სათაურია: «ტოლკო დღია ჩლენოვ კონგრესა».

დამოუკიდებელი კომიტეტის წევრებმა მეტეხიდან ლენინის შრომები მოითხოვეს ნაციონალურ საკითხზე. სტუდენტების არალეგალურმა ორგანიზაციამ, რომელსაც ამ შრომებისა და სხვა მასალების მოგროვება და მეტეხის ციხეში შეგზავნა დაევალა ეს ბროშურაც მათ თან გააყოლა. ამ ბროშურის შოვნა არ იყო ადვილი, მაგრამ ის ერთ-ერთ ბოლშევიკ-უკლონისტის დახმარებით იგდეს ხელთ. დამოუკიდებელი კომიტეტის წევრებმა ეს დოკუმენტი ავტორის დაუსახელებლად ჩინებულად გამოიყენეს სასამართლო პროცესის დროს.

ბესო ლომინაძე დოკუმენტში ახდილად წერს, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებს ქართველმა ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, რადგანაც არავითარი მანსეხი არ გაჩნდათ არა თუ გამარჯვებისა, არამედ ერთ დეპუტატის გაყვანის იმედიც არ ჰქონდათ. ჩვენ, წერს ლომინაძე, მასები არ გვითანაგრძნობდნენ, მიუხედავად ამისა, აქა იქ უმიზნო აჯანყებებს მაინც ვაწყობდით, რაც წვრილფეხა ფართი ფურთობას წაგავდა და არა რევოლუციონერების საქმიანობას. რისთვისაც არც თავი და არც ხალხი არ გაგვაჩნდა. ეს ცხადყო 1920 წელმა, როცა საქართველოს და საბჭოთა რუსეთის შორის დადებულ ხელშეკრულების შედეგათ ბოლშევიკურმა პარტიამ ლეგალობა მოიპოვა ვერაფრის გაკეთება ვერ შეეძლებოდა. რაც შეეხება წითელი არმიის საქართველოში შემოჭრას, ამ დროს ქართველ ბოლშევიკებს თითოც არ გაუწოდებიათ. ვიკვებით, ბევრს ვლაპარაკობთ რევოლუციანზე სინამდვილეში 1921 წელს საქართველო რუსის ჯარმა დაიპყრო და ჩვენი მოწინააღმდეგენი ცამდე მართლნი არიან—როცა ამ ჯარს მომხდურ და დამპყრობ ძალად აღიარებენ».

ასეთია სინამდვილე- მიუხედავად ამისა, საბჭოთა ისტორიკოსები წარბ-შეუხრელად წერენ: მენშევიკთა დიქტატურის დამხობა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება გარედან თავსმოხვეულ აქტს კი არ წარმოადგენს—როგორც ამას ემიგრანტი მენშევიკები, ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და მათი საზღვარგარეთელი პატრონები ამტკიცებენ, არამედ თვით საქართველოში შექმნილი ობიექტური ვითარებით ნაკარნახევი კანონზომიერი მოვლენა იყო. ნახევარი საუკუნეა ამ მაღალმყვირალა სიცრუეს არ ეშვებიან და ურცხვად უწერგავენ ქართველ ახალგაზღვრებს. ერთი დიდი უპირატესობა აქვთ დიქტატორებს—რაც უნდა წერონ და თქვან—ენის შებრუნებას ვერაფერს გაბედავს. ამით ჯაკანდიერებულნი ისეთ სიცრუესა და სიბრძოვეს ლაპარაკობენ, რომ ადამიანს ძარღვებში სისხლი ეყინება. აქ დარღვეულია მოკრძალოებისა და თავმოდრეკილობის ყველა სავალდებულო მიჯნა. არც ერთ ქვეყანაში გაშიშვლებულ ქად.

ნიერებასა და თალღითობას უაღრესი ცინიზმის ზღრუბლამდის მისულს, ასეთი მასშტაბები არასოდეს არსად არ კქონია. არც ერთ ქვეყანაში თავისი მშობელი ერის წარსულისათვის ასე უტიფრად და უკადრისად არავის მიუფურთხებია.

1921 წლის, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის აქტი უკვე შესულია ისტორიაში, ადრე თუ გვიან ქართველი ბოლშევიკების მიერ მოტყუებული თაობა ამას გაიგებს და მათ ამ მოღალატეობისათვის საკადრის მსჯავრს დადებს, მიუხედავად იმ «მონანიებისა» და მსხვერპლისა, რომელიც ბევრ მათგანს ხედა წილად. აღმოსავლეთში წმინდათა-წმინდათ არის მიჩნეული შამის საფლავი და მით ფიცულობენ. ამაზე არის ანდაზა—«მამა მოვკალი, რომ მისი საფლავით დაფიცვა შემედლოსო». ეს ანდაზა ზეგამოჭრილია ქართველ ბოლშევიკებზე, რომლებიც რუსებს საქართველოში შემოუძღვენ. მათ დაკლეს და დაასამარეს საქართველოს დამოუკიდებლობა და შემდეგ დაიწყეს მონანიება, მაგრამ გვიანლა იყო თითზე კბენანი.

დღეს მტერი ამ დასამარებულ დამოუკიდებელ საქართველოს, ტყვედმყოფ და არათავისუფალ სამშობლოს 50 წლისთავის არსებობას ზეიმობს. საქართველოს ყოვლის მხილველ, ყოვლის გამძლე და ყოვლის ამტან მატინეტსთვის ასეთი მწარე დრონი ცნობილია, მაგრამ ქართველი ერი მათ არასოდეს არ შერიგებია. არ შერიგებია იმიტომ, რომ მასში მარად და უხვად ჩქეფდა ეროვნული თავისუფლების, ეროვნული ღირსების, ამაღლებული ეროვნული თავმოყვარეობის აღდგენის წყურვილი.

1918 წელს 26 მაისს მთელი ერი მიენდო ერთობლივად, რადგან ეს იყო მისთვის აღდგენისა და სიცოცხლის მახარობელი. ის უჩვეულო ცხოველმყოფელი ძალით შეიჭრა ქართველი კაცის გულში და უხილავის ძალით მთლიანად დაეპატრონა მის გულისთქმასა და სწრაფვას. ის ჩვენი გზის მანათობელია, სადაც არ უნდა ვიყოთ, მშობლიურ მიწაზე თუ შორს, უცხოეთში. ის თავდები და საწინდარია იმისა, რომ გარეშე და შინაურ მტრების მიერ მიყენებულ ჭირ-ვარამსა და სიავეს ქართველი ერი გადახარშავს და მოინელებს—წყალნი წვლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიან.

შ. კალანდიაძე.

სიტყვა 19 მარტის საჯარო კრებაზე.

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც უხეშმა მტერმა ქართული ნორჩი სახელმწიფო დაამხო და ჩვენი, იმედით სავსე მომავალი, რომელსაც მთელი ქართველობა სიყვარულით და ზრუნვით აშენებდა, მონობის შავი დღეებით შეგვიცვალა.

და ეს შავი თარიღი, იმავე მტრის კარნახით, ეროვნულ სახეიმო დღეთ არის მიჩნეული.

ქართველი მხედრობის დამარცხებას რუსული წითელი არმიის მიერ, ჩვენი ეროვნული დროშის დაფლეთას, და ერის საუკეთესო შვილების ამოწყვეტის დაწყებას, საქართველოს გაბედნიერების დღეს არქმევენ და იმ ქვეყნის ხალხი ვინც ეს უბედურება თავს დაგვატეხა თურმე არა მარტო ჩვენი უფროსი კმები არიან არამედ ჩვენი მასწავლებლები და კეთილისმყოფელნი ყოფილან რომელთა მიმართ ქართველები მაღლიერების გრძობით უნდა აღივსნენ თურნე.

ამ გარემოებისა გამო დღევანდელი ჩვენი შეკრებილობა, რომელიც უპირველესად ყოვლისა საპროტესტო ხმის ამოღება არის და ჩვენ შელახულ უფლებათა მოთხოვნას წარმოადგენს, აგრეთვე გლოვის ნიშნის ქვეშ ტარდება.

თებერვალი ზეიმის კი არა გლოვის თარიღია. მხოლოდ ეს გლოვა სრულიადაც არ არის გლოვა მიცვალებულისა, არამედ არის გლოვა განცდილ მარცხისა გამო. ხოლო საქართველო თებერვალში არ მომკვდარა.

ჩვენს გამძლე და ამოუწურავ მნებობის ერს რუსებზე უფრო ძლიერი და საშინელი მტერი მოუწელებია, დრომდე მოუთმენია და, უძლეველად მიჩნეული მტერი საფლავამდე მიუცილებია. რის შემდეგაც დაქვეყნული სახელმწიფო და ქვეყანა კვლავ აღუდგენია.

ამას ამოწმებს არა მარტო ჩვენი ისტორია, არამედ ხალხური სიბრძნეც ფოლკლორში გამოხატული: ჩვენი შეუდარებელი ხალხური სიმღერა «მუშლი მუხასა».

მაგრამ მარტო წარსულზე დაყრდნობა და ფოლკლორული რომანტიკა არ კმარა. ყოველი ცოცხალი ორგანიზმის უპირველესი ბუნებრივი სწრაფვა საკუთარ სახეობის შენარჩუნებაა. ხოლო ერისათვის სახის შენარჩუნება თავისუფლებას გულისხმობს. თუ ერს სიკვდილი არა სურს მან განუწყვეტილად თავის უფლებისათვის უნდა იბრძოდოს და ამ ბრძოლის დროს დაუშვებელია პესიმიზმი, ხელის ჩაქნევა. ან შერიგება. განა რუსთაველი არ გვეუბნება? სიკვდილ ამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსა!—ამ აფორიზმში გონიერება ოპტიმიზმის სინონიმი და ჩვენც ამ ოპტიმიზმით უნდა ვიაროთ და თავი შაღლა გვეჭიროს, რადგან სიმარცხე ჩვენს მხარეზეა.

და არა მარტო სიმართლეა ჩვენს მხარეზე, არამედ სხვა საბუთებიც გვაქვს გამამხნეველები.

დღეს ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ არც ერეკლეს ხმალი და არც დავით აღმაშენებლის ყივჩაყები არას გვარგებენ. დღეს პირველი მნიშვნელობა აღამიანურ მასალის კულტურულ და ტექნიკურ სიმაღლეს, კადრების და სპეციალისტების სიმრავლეს, ხალხის მასსიურად მეცნიერებასთან ზიარებას ენიჭება; და სწორედ ამ დარგში, ჩვენი ერის ძლიერ კულტურულ ზერხემლისა და მაღალი ნიჭიერების წყალობით და ჩვენი ერის ღირსეული შვილების ქართველ მეცნიერთა, პედაგოგთა და საერთოდ მოწინავე ინტელიგენციის უმაგალითო ღვაწლი მადლით, მსოფლიოს უპირველეს ხალხთა გვერდითა ვდგევართ.

რომელ ჩვენთაგანს არ განუცდია უდიდესი კმაყოფილება ჩვენი ქვეყნის ახალი თაობის წარმომადგენელთა ამ სიცოცხლით და ენერგიით სავსე ახალგაზდათა ხილვისას რომელთაც ჩვენ. უმეტესად მოცქევავეთა და მომღერალთა სახით, ზოგჯერ ახალგაზრდა მეცნიერთა სახითაც აქ ჩამოსულებს ვხედავთ.

განა ეს უტყუარი საწინდარი არ არის ჩვენი ქვეყნის სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობისა დუხშირ პირობათა მიუხედავად.

მათ დანაზვანზე ვის არ უფიქრია გულის სიღრმეში: კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი!

ჩვენი უპირველესი ძალა, სიმდიდრე და იმედი ჩვენივე ხალხის გონებრივ-ფიზიკურ ჯანსაღობაში და თანამედროვე ცხოვრებისათვის შესაფერის ცოდნით აღჭურვაში მდგომარეობს.

გულს ნუ გავვიტებს დღევანდელი ჩვენთვის არა ხელსაყრელი საერთაშორისო კონიუნქტურა და მუდამ გვახსოვდეს ილიას მიერ იდეალად დასახული თვისება: «სიღობო გვექონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა»-ო. ამ გამოთქმაში სიღობო ნაქსოვისა ტაქტიკურ მოქნილობას გულისხმობს, რომლის დროსაც არა მარტო დასაშვები, არამედ საპიროც არის დრო და დრო დათმობა და მოჩვენებითი შერიგება, მაგრამ ყოველივე ამას თან უნდა ახლდეს სიმტკიცე ნაჭედისა რაც ჩვენს უმთავრეს და დაუთმობელ მიზან-მოთხოვნილებას შეეხება. ე. ი. დაუღალავი სწრაფვა თავისუფლებისაკენ ჩვენი სუვერენობისაკენ.

თუ რომაელებმა მრავალათეულ წელთა განმავლობაში იმეორეს, კართაგენი უნდა დაინგრესო, ჩვენც ნუ დავგდლის წელთა განმავლობაში ვიძახოთ, საქართველო უნდა აღსდგესო.

ზოგსა ჰგონია, მარტო სიტყვით რა გამოვაო, მცდარი მიდგომაა. უპირველესად იყო სიტყვა იგი ყოველივეს დასაწყი-

სია იგი ნება-სურვილის გონიერი გამოსახვაა. სიტყვის დროს სიტყვაა საჭირო.

ყოველ შემთხვევისას სადაც კი ხმა მიგვიწვდება ჩვენი ერის უფლება უნდა დავიცვაოთ, მისი სამართლიანი მოთხოვნის დაცვა ვამცნოთ მსოფლიოს და იგი დავიწყებთ არ მივცეთ.

ამგვარად ჩვენ გახიზნულ ქართველებს, რომელთაც თავისუფალი სიტყვის თქმის საშუალება გვაქვს, ჩვენი მოვალეობა მოხდელი გვექნება. დანარჩენს დრო მოიტანს, ხოლო დროის სიგრძისა საქართველოს არ ეშინია.

გავიხსენოთ კოტე მაყაშვილის სიტყვები საქართველოს რომ ამეტყველებს.

«იქ სადაც ღმერთები იშვნენ იქიდან მოვდივარ მე და სავალი ბევრი მაქვს კიდევ». — თუ პრეისტორიაში დაკარგულ ჩვენ საწყისთან შედარებით კიდევ ბევრი სავალი გვაქვს, რას გვაქნევს დღევანდელი მტრის ძლიერება.

შეგბრუნოთ რუსტეფანის ცნობილი ჩივილი და იმედიანად ვსთქვათ:

რა არის ჩვენთვის დღევანდელი სიბხელე თუ კი ვიცით, რომ მომავალი უქველად ბრწყინვალე და ნათელია.

მისიელ ქავთარაძე.

საქართველოს დაპყრობის 50 წლისთავის გამო. ამ სამგლოვიარო დღის აღსანიშნავად, 19 მარტს პარიზში, პლეილის დარბაზში, გაიმართა ქართული კოლონიის საჯარო კრება, რომელსაც მთელი პარიზელი ქართველი ობა დაესწრო.

მოხსენებით და სიტყვებით გამოვიდნენ: კოლონიის თავმჯდომარე ბ-ნი ლევან ზურაბიშვილი, კოლონელი ნიკოლოზ თოხაძე, საქართველოს ყოფილი მინისტრი ბ-ნი ნოე ცინცაძე, ბ-ნი პავლე სარჯველაძე, ბ-ნი მიხეილ ქავთარაძე და ბ-ნი ნუგზარ შარია; ბ-მა გიორგი ყიფიანმა წაიკითხა საკუთარი შიირი. რადგან კრებას მრავალი ფრანგი დაესწრო, კოლონელ თოხაძის სიტყვა, რომელიც 1921 წლის ბრძოლის მოგონებებს შეიცავდა და სხვა სიტყვათა მნიშვნელოვანი ადგილები ფრანგულადაც იქმნა წაკითხული.

კრების მიერ ერთხმად და ერთსულოვნურ გადაწყვეტილებით გამოტანილ იქმნა რეზოლუცია რომელიც მთელ მსოფლიოს მოაგონებს საქართველოს დღევანდელ უფლება აყრილ მდგომარეობას და აცხადებს, რომ უცხოეთში მყოფი ქართველობა, როგორც საქართველოს პორტპაროლი, კვლავ შეუწყველად განაგრძობს ჩვენი ქვეყნის ლეგიტიმურ უფლებათა აღდგენის მოთხოვნას.

კრების დასასრულს მომღერალ გუნდთან ერთად მთელმა დარბაზმა განსაკუთრებულ ენთუზიაზმით შეასრულა ჩვენი ქოვხული ჰიმნი «დიდება».

ბრეჟნევი—კოსიგინ-პოდგორნის წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთის შინაპოლიტიკურ ვითარებაში საკმაოდ ჩახედული, ცნობილი საფრანგეთის ჟურნალისტი, რ. კარტიემ რამდენიმე თვის წინად სწერდა: «საეჭვო აღარ არის, რომ ბრეჟნევი თანამდებობიდან მოხსნის და გადააყენებს კოსიგინსა და პოდგორნის; გასწმენდს კომ. პარტიის პრეზიდიუმს და მის ხელში თავს მოუყრის პარტიის მდივნის და მთავრობის თავმჯდომარის ფუნქციებს და გახდება, ლენინის, სტალინისა და ხრუშჩევის შემდეგ, მეოთხე აბსოლიუტური მპყრობელი—დიქტატორი მთელი საბჭოთა რუსეთისა, და უკანასკნელის მიერ დაპყრობილი ერებისა. ბევრი ფიქრობს, რომ ეს უკვე მომხდარი ფაქტია და სინამდვილე. უკანასკნელ ხანებში ბრეჟნევი მარტო წავიდა ქ. მინსკში, რათა იქ დასწრებოდა საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარების მანევრებს. მას არ ახლდა თან არც კოსიგინი, არც პოდგორნი, არც პრეზიდიუმის რომელიმე წევრი. მას თან ახლდნენ რუს. წითელი ჯარების ყველა მარშლები. საეჭვოთ აღარ მიაჩნიათ; რომ ბრეჟნევიმ ვააცნო მათ მისი რევოლუციური განზრახვები, და რომ მან მათი მხარისდაჭერის თანხმობაც მიიღო» — და ამის შემდეგ დაწყნარებული მშვიდად ბრუნდება მოსკოვში, როგორც სახელმწიფო კაცი დინჯათ-აუჩქარებლად. ამ ხანებში, ხელისუფლების ოფიციალური პასუხისმგებელი მეთაურები არა სჩანდნენ. არცერთი მათგანი არ დასწრებია უკანასკნელი მსოფლიო ომის საბჭოთა გმირ-მარშალ ტიმოშენკოს დასაფლავებას. მთავრობის თავმჯდომარე კოსიგინმა დროებით შესწყვიტა აქტიური მოქმედება, პრეზიდენტ პოდგორნიმაც უარი სთქვა იაპონიაში ოფიციალურ მგზავრობაზე, სუსლოვ-შელიაპინიც მიიმალნენ და უჩინარნი გახდნენ. საბჭოთა იმპერიის ვრცელ მოედანზე სჩანდა მხოლოდ ბრეჟნევი. იგივე წავიდა და დაესწრო ბუდაპეშტის «განთავისუფლების» 25 წლის-თავის დღესასწაულს. კოსიგინი აღარა სჩანდა მის ოფიციალურ «პოსტზე» 1968 წლის ოცი ქრისტეშობისთვინდან, 1969 წ. ხუთ თებერვლამდე. ამ დროს; მოსკოვში მისულ ივან კაძარს პრეზიდენტი პოდგორნი და ბრეჟნევი დახვდნენ.

საბჭოთა რუსეთის ხელქვეით რესპუბლიკებში: უკრაინა-ყაზახისტანში, აზერბაიჯინში და საქართველოში მთავრობათა შემადგენლობაშიაც მოხდა ცოტათ თუ ბევრათ ცვლილებები, ასე თუ ისე ლიბერალურად განწყობილი ელემენტების შეცვლით ბრეჟნევის მომხრეთა მიერ.

ველიკორუსები ითმენდნენ ორი ქართველის—სტალინ-ჯულაშვილისა და ლ. ბერიას დიქტატურას, რამდე პირველი ნამდვილი შეუბრალებელი თვითმპყრობელი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ ქართველი ლ. ბერიაც მოჰკლეს და ქართვლთა დიქტატურისაგან განთავისუფლდნენ. რუსეთის დღე-



ვანდელი მეთაურები კოსიგინ პოდგორნი და თუ არ ვცდები ბრეჟნევიც უკრაინელები არიან, ყოველ შემთხვევაში სოკოლინები. კოსიგინი 67 წლისაა, პოდგორნი 68 წლისა. მათზე ახალგაზდაა ბრეჟნევი 63 წლისა. ბრეჟნევი პარტიანი 1931 წ. მევიდა, კოსიგინი 1927 წელს და პოდგორნი კი 1930 წელს.

დიქტატორ სტალინის შემდეგ ბრეჟნევი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. პოდგორნი ზელმძღვანელობდა კიევში პარტიას. მათი ორივესი მფარველი იყო იგივე უკრაინელი ხრუშჩევი, რომელიც ფიქრობდა, რომ ორთავენი იმას დაუჭერდნენ მხარს და მის ძალაუფლებას გაამაგრებდნენ. «კარგისთვის კარგი არავის დაუღია», ეს თქმულება მათ გაამართლეს და მათი მფარველი ხრუშჩევი თავიდან მოიცილეს.

ხრუშჩევის შემდეგ სწორედ ბრეჟნევი აირჩიეს საბჭოთა სახელმწიფოს უფროსათ—პრეზიდენტად. მან არცაა უარი ეთქვა და მის ადგილას პოდგორნი აირჩიეს. მან ამჯობინა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობა გინაიდან პრეზიდენტის თანამდებობა, შეეფერებოდა სწორედ არაპოპულარულ კაცს. კოსიგინი მეორეხარისხოვანი თანამდებობაზე იმყოფებოდა, ის არ ეძებდა საბჭოთა რუსეთის იერარქიაში პირველ რიგს, რასაც ლ. ბრეჟნევი უთმობდა. იმ ერთიანდელი უცხოელი პოლიტიკური მეთვალყურეები ერთხმად წინასწარმეტყველობდნენ, რომ ლ. ბრეჟნევი, მალე გახდებოდა საბჭოთა რუსეთის დიქტატორი. მიუხედავად იმისა, რომ ის ვერ შეედრებოდა რუსეთის ყოფილ დიქტატორებს, ლენინს, სტალინს და ვერც ხრუშჩევს. იახაც ძნელი წარმოსადგენი იყო, და ძნელად დასაწევები, რომ ის სტალინის რიგს ითამაშებდა. აღსანიშნავია, რომ კოსიგინი ნაკლები რევოლუციონერია, და მეტად ვრთხილია მის სახელმწიფოებრივ მოქმედებაში. მისი მოქმედების ახლო მიზანია, და სურვილი, რომ საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობას და განსაკუთრებით ქარბქცენტრის მიზნებს ხელი შეუწყოს. ეს მიზანი ამოკრავებს პრეზიდენტ პოდგორნისაც, რომელიც უარს არ ამბობს ე.წ. «ლიბერალიზმზე». მათგან შესამჩნევად განსხვავდება ბრეჟნევი, რომელიც გარკვეულად სტალინის დიქტატორულ მეთოდების მომხრეა, პოლიტიკურსა თუ ეკონომიურ სფეროში ის მომხრეა ცენტრალიზმისა და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის განვითარებისა. სავარაუდოდ საერთაშორისო პოლიტიკაშიც სტალინისებური ხაზი აქვს: საბჭოთა რუსეთის ჯარების შესვლასა და ჩარევას ჩეხოსლოვაკიის შინაური მართვითის საქმეში, რომ მხარს უჭერდა. ეს ბრეჟნევი იყო. ასევე მისი პოლიტიკის წყალობითაა ე.წ. საბჭოთა რუსეთის გავლენის სფეროში მყოფ, სატელიტების მოჩვენებითი სუვერენიტეტის თვალსაჩინო შესწავლა. მან აშკარად განაცხა-

და ბუდაპეშტში ყოფნისას, რომ სოციალ. ქვეყნების ინტერესები უნდა ექვემდებარებოდნენ საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებსა.

გასაგებია, რომ იგივე ბრეჟნევი სასტიკი წინააღმდეგი ყოველგვარი თავისუფლების იდეისა, რომელიც საბჭ. რუსეთისა თუ მის მიერ დაპყრობილ ერების პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე თავს იჩენს. იგივე ბრეჟნევი სასტიკი წინააღმდეგი, თავისუფლების ყოველი სახის იდეისა, რომელიც საბჭოთა რუსეთის ინტელექტუალურ წრეებში აქა-იქ თავს იჩენს. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის კომუნისტურ რეჟიმში აღზრდილ ახალგაზრდათა მოწინავე ჯგუფმა ოფიციალურად ხმა ამოიღო და ხელისუფლებას საქვეყნოდ მიმართა, და მოითხოვა, გახსნან საზღვრები, რომ მათ შეეძლოთ საზღვარგარეთ თავისუფლად წასვლა-მოგზაურობა და უცხოელებსაც შეეძლოთ საბჭოთა რუსეთში შემოსვლა და მოგზაურობა. მათ ბუნებრივ მოთხოვნილებას, როგორც ვიცით სასტიკი რეპრესიები არ გამოუწვევია. ბრეჟნევი, ამ ბუნებრივ მისწრაფებას ვერ ჩაახრობს საბჭოთა რუსეთის ახალგაზრდობაში.

რამოდენიმე თვის წინ კიდევ ასეთივე სახის მოვლენას ჰქონდა ადგილი: აკადემიკოსმა სახაროვნამ, ფიზიკოსმა ტურჩინმა და ისტორიკოს რ. მედვედევმა ოფიციალური წერილით მიმართეს საბჭ. რუსეთის მთავრობას. მოითხოვეს საბჭოთა რუსეთის სრული დემოკრატიზაცია. სიტყვის თავისუფლება, საზღვრების გახსნა, უცხოეთის რადიო-სადგურების გადაცემათა მოხმენა. უცხოეთიდან წიგნებისა და პერიოდულ გამოცემათა თავისუფლად მიღება, პოლიტიკურ პარტიზართა განთავისუფლება, სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა ხელისუფლებისგან. თუ ეს ზომები არ იქნება მიღებული, აღნიშნავენ წერილის ავტორები, საბჭოთა რუსეთი ჩამორჩება წინსვლა-განვითარებას და თანაც განმარტოებულ ი აღმოჩნდება კომუნისტური ჩინეთის პირისპირა.

ეს ცნობა გამოაქვეყნა ჟურნალ «მონდში». რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევს მას და დასძენს: აკადემიკოსი სახაროვი, საბჭოთა წყალბადის ბომბის გამომგონებელია, და ღენიონის პრემიის ლარეატი; ქვეყნის კატასტროფიულმა მდგომარეობამ აიძულა ის, ასეთი ნაბიჯი გადაედგა. წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა უნდა შეეცადოს დასავლეთთან დაახლოებას.

ჟურნალი «მონდი» დაასკვნის: «ეს წერილი ადასტურებს ს. ბჭოთა ქვეყნების საზოგადოებაში დაწყებულ მღელვარებასა და უთანხმოებას, რაიც ვეღარ იმალება და მსოფლიოს გასაგონად გამოდის» ო.

ამ ორ ბუნებრივ მოთხოვნილებას, როგორც ვიცით საბჭოთა მთავრობისაგან სასტიკი რეპრესიები არ გამოუწვევია.

ბრეუნევი ამ ბუნებრივ მისწრაფებას ვერ ჩაახრჩობს საბჭოთა რუსეთის ახალგაზრდობაში.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ბრეუნევის ასეთი გააფთრებული კომპანიისა პოდგორნის და კოსიგინის წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთის სათანადო საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ორგანომ, კვლავ იგივე პოდგორნი და კოსიგინი აირჩია საბჭოთა რუსეთის პრეზიდენტათა და მთავრობის თავმჯდომარეთ.

არ შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტური პარტიის წევრი ბრეუნევი შესწევებს და აღარ გააგრძელებს მათ წინააღმდეგ ოპოზიციასა და ბრძოლას და არ შეეცდება სტალინის ადგილის დაკავებას. ამას მომავალი დაგვანახებს.

გლ. პატარაძე.

მარქსიზმ-ლენინიზმის

კლინიკება და უძღვრება

თანამედროვე ეპოქა შეუძლებელია გავიგოთ ისე, თუ მარქსის დოქტრინა სწორად არ იქნა გაგებული, როგორც მისი მიმდევრების. ისე მოწინააღმდეგის მიერ. «მეცნიერული სოციალიზმი» დასაბამს მარქსიდან იღებს. უმანდელი სოციალიზმი «უტოპიად» იქნა გამოცხადებული ჩვენთვის ორთავე უტოპიაა. ეს სრულებით ხელს არ უშლის, სოციალისტური მოძრაობა ინტერნაციონალური მასშტაბით ძალზე განვითარებულიყო და მთელს ჩვენს პლანეტას ერთბაშად მოედებოდა. განსაკუთრებით. 1917 წლიდან—რუსეთის რევოლუციის შემდეგ, როცა ოქტომბრის სამხედრო გადატრიალებას ლენინის საბჭოთა რეჟიმი მოყვა, სოციალიზმიც თეორიიდან პრაქტიკაში გადავიდა.

თუ მივხედვით, რომ არ მივიღებთ სხვადასხვა ცივილიზაციის წიაღში წარმოშობილ სოციალიზმს, მარქს ენგელსის მეცნიერულ სოციალიზმს უკვე 150 წელი შეუსრულდა. ახლა კი ჩვენს ხანაში. საბჭოთა-კავშირი და მის უნებლ იყოს სატელიტები, მათ ჩინეთი, ეგვიპტე, ინდოეთი. აფრიკის ხალხები, კუბა და სხვა მრავალი, განა მარქსიზმის მოძღვრების მაღიარებლად არ თვლიან თავიანთ თავს? თუ მართალია. რომ მსოფლიო ისტორიას იდეები წინამძღვრობენ. მაშინ «კაპიტალის» ავტორის სოციალისტური იდეები. განა არ ძრავს და არ მართავს თანამედროვე საზოგადოებას? კაცობრიობის მამოძრავებელი. არა უსულო მანქანები. არა საწარმოო საშუალებანი, არამედ ეპოქის სული და იდეებია. მსოფლიოში ყველაზე დიდი რეზონანსი, გამოძახილი «კომუნისტურმა მანიფესტმა» კპოვა, რომელიც დასავლეთ ევროპის ინდუსტრიულ ცივილიზაციას გასულ საუკუნეში (1845 წ.) მოეგვინა,

იდებების სიძლიერით, მუშათა კლასის ვრცელი დარაზმულობით და შენივთული რევოლუციური აქციით. კაპიტალიზმის ერთი ნაწილი მას მიმართავს და იმოწმებს, როგორც მოაწმუნენი თავიანთ წმინდა საღმთო წიგნებს, რათა კაპიტალისტური მწყობრი რევოლუციური ბრძოლით გარდიქმნას და ახალი სოციალისტური საზოგადოება დაფუძნდეს. ისტორიის პერიოდი, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ, ამის ახსნა განმარტებას, ამის გამართლებას სხვანაირად ვერ პოულობს. თუ არა მარქსიზმის მიმდევართა ქცევა-მოქმედებაში, ე. ი მარქსის ადებტები, მის სოციალისტურ დოქტრინას, როგორ მართებულად ითვისებენ, სინამდვილეს უფარდებენ და დაუმახინჯებლად ცხოვრებაში ატარებენ. ხშირად განუწყვეტლივ ლაპარაკობენ სოციალიზმსა, კომუნისზმსა. მარქსიზმ-ლენინიზმისა, პროლეტარიატის დიქტატურაზე და სხ. შესახებ, საინტერესოა ვიცოდეთ, ზუსტად რას შეესაბამებიათ ეს სიტყვები. ან ეს ცნებები, ან და თუ ყველას მიერ მარქსის მოძღვრება ერთნაირადაა გაგებული? ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად მასზე პასუხი გავსცეთ. ამ საკითხებზე თვალის გადავლება (რაც შეიძლება მოკლედ). ცოტა შორიდან მოგვიხედება.

ამბობენ, რომ მარქ-ენგელსის სოციალისტურ^ა მოძღვრებამ და განსაკუთრებით, «კომუნისტურმა მანიფესტმა» და «კაპიტალმა», ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სამყარო ძირეულად გარდაქნა, მისი ტრანსფორმაცია დააჩქარა. ეს უდაოდ მართალია. საპირობა ზოგიერთი ისტორიული მოვლენების განხილვა, რომ სათანადო დასკვნა იქნეს გამოტანილი.

1848 წ. (იანვარში) დეპუტატთა პალატაში ცხოვილმა «ამერიკის დემოკრატიის» ავტორმა—ალექს დე. ტოკვილმა, თავის კოლეგებს მეტად მამხილებელი სიტყვით მიმართა. მათაც მეტ ნაკლების ყურადღებით მოუსმინეს ამ პრემიერ დემოკრატს: «შევიხედოთ მუშათა კლასის წიაღში თუ რა ხდება... განა თვალსაჩინო არ არის, რომ მათი პოლიტიკით დაინტერესება და გატაცება უფრო სოციალურია, ვიდრე პოლიტიკური? განა ვერ ხედავთ, რომ ისინი თავიანთ წრეებში ისეთ აზრებს და იდეებს ავრცელებენ, რომლითაც მათ უნდათ არა მარტო ესა თუ ის არსებული კანონები შესცვალონ, ან ესა თუ ის მინისტრი გამოცვალონ, ან ესა თუ ის მთავრობა დაამხონ, არამედ მათი შეუწინაღებელი მისწრაფებაა თვით არსებული საზოგადოების შეცვლა და გარდაქმნა?.. განა არ გესმით, რომ ისინი ამას განუწყვეტლივ იმეორებენ: რომ დღემდის სიმდიდრის განაწილება უსამართლო და უთანაბროა, რომ კერძო საკუთრება უთანასწორობის ბაზისზეა დამყარებული?»

როცა ტოკვილმა, კაპიტალისტური მწყობრის უმართებულობა, ასე დაუზოგველად ამხილა და მუშათა კლასის მიმდგომარეობა მეტად დრამატიულ ასპექტში მოგვცა და ხა-

ტოვან ფორმულებში გაშალა, ის მაშინდელ დროის განწყობილებას ანგარიშს უწევდა: ერთის მხრივ ამით მას უნდოდა უსამართლო საზოგადოების წარმომადგენლები გაედრთხილებია და აშავდროს კიდევ დაეშინებია. ხოლო, მეორეს მხრივ—მუშათა კლასის მომავლის პერსპექტივა დაესახა. მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების რწმენა მიეცა. ეს იყო უკვე, არაპირდაპირად, ზომიერი სოციალიზმის ჩანასახი. ზევიდან ერთგვარი სოციალიზმის შესაძლებლობა, მისი ერთი ვარიანტი. და თუ ეს წინასწარი გაფრთხილება შეუწყნარებელი დარჩებოდა. მას მოყვებოდა უფრო სავიწი, მეორე სახეობის სოციალიზმი—კომუნისმი.

სოციალიზმი. პროტესტია მუშათა კლასის იმ აუტანელ პირობების წინააღმდეგ, როგორადაც ეს შექმნა ახლად შობილმა ინდუსტრიამ, მისმა ამომავალმა ბურჟუაზიამ. სახელდობრ, ინკლისა და საფრანგეთში. თავისუფალ კონკურენციასა, ადამიანის ადამიანზე ექსპლოატაციასა და ინდივიდუალურ კერძო საკუთრებასთან შეწყობილ შეხამებულად.

ეს პროტესტი, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური რიგისა, სანამ ის წინად პოლიტიკური ხასიათის იქნებოდა; იგი გულისხმობს საწარმოო ორგანიზაციის სფეროში, სიმდიდრის პირდაპირ უშუალო განაწილებას რაციონალურ სოციალურ მოთხოვნილებების მიხედვით და არ უნდა იყოს პირად სარგებლობაზე (სარგებელზე) აგებული; ე. ი. სოციალიზმი—(საერთო სარგებლიანობის პრინციპზე დამყარებული). კერძო, ინდივიდუალურ ეკონომიურ სარგებლიანობის წინააღმდეგია.

ასე ფიქრობენ, თუ ყველა არა, ზოგიერთი ჯურის სოციალისტები მაინც. ხოლო სოციალიზმის კონკრეტული ხელახლოების ცილინსტრუქცია—(საზოგადოებრივი—საწარმოო—ამხანაგობა—არტელი) ხანკოოპერაციული—(კოოპერაციული ამხანაგობა), ხან თანახიარული ამხანაგობა, (სახიარო წარმოება—საუბრითო წარმოება). ფრანგი ფურიე და პრუდონი, ინგლისელი ოუენი ხან ეტატისტებია (სახელმწიფო სოციალიზმის დამცველნი), ხან მიქსიტური (შერეული კერძო და საზოგადოებრივ წარმოების) სოციალიზმის მომხრენი. სენსიმონის მწარმოებელი სახელმწიფო, სულ სხვა არის. ვიდრე ლუი ბლანის სოციალური მოძრაობის თაოსანი—სახელმწიფო. იმ დროს ლ. ბლანს ზოგიერთები კომუნისტადაც კი თვლიდა, თუმცა იმდროინდელი სოციალისტური დოქტრინის მიხედვით განსხვავება სოციალისტურ და არასოციალისტურ დოქტრინის შორის არც თუ ისე ზუსტადაა გამოიჯნული.

1848 წ. სოციალიზმის მომხრეობა უფრო აფექტიური რიგის იყო, ემოციურ გრძობით გამოწვეული. ვიდრე მოქმედებდითი განცდით. სიტყვა კომუნისმის რეზონანსი, ქვარა-

დობა, ეპოქის სულისკვეთების მიხედვით სრულებით უცნაური, მეტად თავისებური და განსაკუთრებული იყო. თანამედროებში ის იწვევს. პირდაპირ უხმობს მთელი სიმდიდრე საერთო სარგებლობის ობიექტად აქციონ. რა თქმა უნდა, თვით უსაჭიროეს მოხმარების საგნების ჩათვლით: ე. ი. თვითუფს მივხლას მოთხოვნილების მიხედვით და არა შრომის მიხედვით. ის აგრეთვე გვახსენებს 1796 წლის ბაბუის შეთქმულებას, მუდამ აჯანყებულ ბლანკის ფიგურას, საპყრობილეში ათეული წლებით გამომწყვდეულს. მე-19 საუკ. 30 წლიანებში ბლანკის სახელი ფართო პროგრესიულ საზოგადოებას განუსაზღვრელად ფლობს, არსებულ წესწყობილებას და ხელისუფლებას, თავისი კონსპირაციის ატმოსფეროთი, ფარული მოქმედებით და ბრძოლაში ძალადობის გამოყენების საშუალებით, მუდამ შიშს გვრიადა.

ვინც ამბობს, რომ კომუნიზმის განხორციელება გარდაუვალია, მათ უნდათ სთქვან, რომ ეს უნდა შესრულდეს უხეში ძალით, ძალმომრეობით მოქმედებით და ეს უნდა წამოიწყოს, უმეტაუროს სამრეწველო პროლეტარიატმა, ე. ი. ორ განიხებულმა მუშათა კლასმა. არსებული კაპიტალისტური სისტემის დაშლა, დანგრევა, ქუჩაზე გამოსვლით. ხელჩართული ბრძოლი უნდა მოხდეს, რადგან არც კაპიტალისტები და არც მათი ხელისუფლება არც ისე ადვილად დასთმობენ თავიანთ პრივილეგიურ მდგომარეობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1840 წლიდან კაბეს (ავტორი მეტად კურიოზული წიგნის სათაურით «მოგზაურობა იკარში»). კომუნიზმს, განსაზღვრულ წრეებში უდაოდ ერთგვარი წარმატება ჰქონდა, განსაკუთრებით, მისი ასპირაცია, მისი გავლენა დიდი იყო ხელმანათა შორის. პარიზში გერმანულ ტოლელითა მუშები, რომელნიც კომუნიზმთან შეხვედრულ პრიმიტიულ ქრისტიანობის შეხედულებებს იზიარებდნენ (ვაიტლინგის «მართლთა ლიგა» ქრისტიანობის და კომუნიზმის შერწყმას წარმოადგენდა. ეს ლიგა უმთავრესად გერმანულ ემიგრანტებზე კავშირისგან შესდგებოდა). ხოლო ყველა ეს წინანდელი კომუნიტური მოძრაობა, მართლაც იდეალისტური და უტოპიური იყო, მისი არიალი (ასპარეზი) მეტად განსაზღვრული და ვიწრო წრეებისგან შესდგებოდა, ფართო საზოგადოებაში მათ არავითარი გავლენა არ ჰქონდათ.

სინამდვილეში კომუნიზმის მოძღვრების სისტემატიური და მწყობრივ დამუშავება მარქსით დაიწყო. პარიზში, მაშინ ევროპის რევოლუციური ცენტრი, 1848 წ. წინადაც სოციალურ უტოპიების და უამრავ დოქტრინების აკვანი, 1843 წელს აქ გადმოიხიზნა რენანთან 26 წლის, სულ ახალგაზრდა ფილოსოფოსი, არაჩვეულებრივ გონებამახვილობის მქონე კარლ მარქსი, რომელსაც როგორც მოწინავე აზრების მატარებელს არ შეეძლო პრუსიაში საუნივერსიტეტო კარიერის გაკეთება.



მან გადმოსახლებისთანავე შეიძრო კავშირი დაამყარა მუშათა კლასის მოძრაობასთან. იგი «სოციალიზმს», უფრო ნაკლები უპირატესობას აძლევდა ვიდრე «კომუნიზმს», ვინაიდან სოციალიზმს ის თვლიდა ძალზე ბურჟუაზიულად. უფრო სწორად, წერილ-ბურჟუაზიულად. მისთვის კომუნიზმი მისაღები იყო, რადგან ის მკვეთრად გამოხატავდა პროლეტარულ მუშების სულისკვეთებას, შეეფერებოდა დამონებულ კლასის ინტერესებს, რომელიც მსხვერპლი იყვნენ მრავალწიერ სოციალურ და ეკონომიურ «ალიენაციის» (განსვენისების), და აი, მარქსმა მაინც ეს კლასი მიიჩნია მთელი საზოგადოების განმათავისუფლებლად, მის მხსნელად, ეს კომუნიზმი კი იმ დოქტრინად, რომელიც იდეურად შეაიარაღებდა, მებრძოლებად გარდაქმნიდა, უსამართლო კაპიტალისტურ სამყაროს მოსპობდა და კომუნიზმს დაამყარებდა.

მისი ინტიმიური მეგობრის და თანამემამულ ის ნეგელსის მონაწილეობით და თანამშრომლობით, მარქსმა ამ მიმართულებით წარმართა რევოლუციური მოღვაწეობა. ნეგელსის მითითებით, ის გათვითცნობიერდა «პოლიტიკურ ეკონომიკაში». რომელიც მისთვის გახდა სოციალური პრობლემის ნამდვილ გასაღებად, მეცნიერულ დასაბუთების საფუძვლად. მარქსი, ამიერიდან, გატაცებით და დიდის დაძებით იკვლევდა მეცნიერულ კომუნიზმის იდეოლოგიას. ისე რომ არავის ზოგავდა თუ ვისმეს შეხედულედა მცდარი და მიუღებელი იყო. ის არავის არ ინდობდა და მძაფრად აკრიტიკებდა მეგობრებსაც კი თუ ის არ გააძლიერებდა პროლეტარიატის მსოფლმედეგლობას და მის ორგანიზაციულ მოძრაობას. ის ამბობდა: არათვითნებური იდიალისტური საზოგადოების დაწესება. არც კაბეს უტოპიური კომუნიზმის ექსპერიმენტი, არც ბლანკის უთავბოლო ჯანყური და სრული ეგალისტური (სრული გათანასწოების) სოციალიზმი, სანტიმენტალურ და საწმუნოებრივ ფერებით შეღებილი, არც ვაიტლინგის «ძმურ გრძობებზე» დამყარებული «მართალთა ღიჯა». ეს ყველაფერი მას ფანტაზიებად მიაჩნდა, რადგან, ობიექტიური პირობები და გარემოება, მათ საფუძვლად არ ედო.

ღიახ, კომუნიზმი, მაგრამ პროლეტარული და მეცნიერული. იდეოლოგიურად გამართული და ორგანიზაციულად გაფორმებული. კომუნიზმი, სრულიად ახალი საწყისით და სტილით, რომლის მთავარი მიზანი იქნება იმისგან გამოიჯნა რაც პროლეტარიატის გამარჯვებას არ ვმსახურება, რაც მუშათა კლასის კომუნიზმისკენ ძლევამოსილ წინსვლას შეაფერნებს.

1845 წ. საფრანგეთის მთავრობის მიერ, მარქსი პარიზიდან გაასახლეს. ის დროებით ბრიუსელში დაბინავდა. სადაც მას ენკელსიც შეუერთდა. მიუხედავად სიმწელისა, დევნილობისა, უსახსრობისა (ამასთანავე ის უკვე დაცოლშენილებული იყო), გაკვირებულ არსებობისა, მაინც განაგრძობდა.

და კომუნისტების იდეოლოგიურ გეგმის დამუშავებას, საიდანაც შემდეგ «მარქსიზმი» წარმოიშვა. ეს გეგმის დამუშავება ემთხვეოდა იმ ორი წრის შეუწყვეტელ ბრძოლას, რომელიც წარმოებდა, ერთის მხრივ, მარქს-ენგელსის მომხრეთა და მეორე მხრივ გერმანელ ხელოსანთა და მუშათა «მართალთა ლიგის» შორის. თვით «მართალთა ლიგის» წევრებიც არ იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში, ისინიც არანაკლებ განიცდიდნენ ცვალებად დუხჭირ ცხოვრებას, რომელთა ცენტრი იმ უამად ლონდონში იყო, სადაც ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ემიგრანტები ვაიტლინგის გარშემო თავისიყრიდნენ, რომელთაც თავიანთ დევიზად ჰქონდათ: «ჩვენ ყველანი ძმები ვართ!» ამ ლიგის აზრებს და შეზღუდულებებს მარქსი დაუზოგველად შეებრძოლა. ის ენგელსის დახმარებით აქტიურ და დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებს ვაიტლინგის გავლენის წინააღმდეგ. ის მას უმეცრად აცხადებდა, ბრალს სდებდა, რომ ის თავის მიმდევრებს აბრიყვებს და ატყუებს კიდევ, რომ მის მოძრაობას და იდეებს არავითარი სერიოზული მეცნიერული ბაზა არ გააჩნია. მკაცრი კრიტიკის და მხილების შემდეგ, მარქსმა 1847 წ. ვაიტლინგის ღიჯა თავის გავლენას დაუმორჩილა, წინანდელი სახელი შეუცვალა და მას ამიერიდან «კომუნისტების ლიგა» ეწოდა, სრულად ახალი დევიზით: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!» ამ ახალი ლიგის კომიტეტის დავალებით, მარქს (ენგელსის უშუალო თანამშრომლობით) დაევალა, კომუნისტური დოქტრინის საფუძველზე, მანიფესტის შედგენა, რაც მან დიდის აღფრთოვანებით შეასრულა.

როგორც ცნობილია, ეს ახალი კომუნისტური მანიფესტი მკირე მოკულობისაა (სულ ოცდახუთი გვერდი), ხოლო მისი ისტორიული მნიშვნელობა განუზომელია. მიუხედავად ამარაჩვეულებრივი დოკუმენტის სიპატარავისა, მისი წონა და ღირებულება დიდია, იგი იყო მუშათა მოძრაობაში ახალი ეპოქის დასაბამი. ის პირველად ლონდონში 1848 წ. დაისტამბა გერმანულად (შემდეგ სხვა ენაზეც ითარგმნა). მაშინ პარიზში (ლუი-ფილიპეს პარიზში)რევოლიციური აღტყინება თანდათან ძლიერდებოდა, რაც ბონაპარტის რეჟიმს წააღივით ემუქრებოდა. ისიც აქვე უნდა ითქვას, რომ იმ ხანაში, საერთოდ, არც მარქსი და არც ენგელსი არ იყვნენ მიანიცადამანიც დიდად ცნობილნი მსოფლიო მუშათა კლასის წრეებში. იმ დროს უფრო სახელგანთქმული იყო ფრანგი სოციალისტი პრუდონი, მისი განხაურებულ თქმით: საკუთრება ქურდობაა! (კერძო საკუთრება ქურდობაა). კიდევ მეტიც, პირველ ხანებში «კომუნისტური მანიფესტი ფართო წრეებისათვის სრულებით შეუმჩნეველი დარჩა. ბევრმა ის მიიჩნია კადნიერებად, რომ ორც გერმანელ ემიგრანტების, უცნობი სექტის სულიერ განწყობილებათა ექსპრესია—გამოსახულება, მინც ძალუმად

ნათქვამად, ეპოქის შემარბევლად, რაც შემდეგ თაობისათვის იდეურად მიმზიდველი გახდა. მთელი რიგი რევოლუციური მოძრაობისთვის კი საწყისად და გონებრივ სახრდოდ გადაიქცა.

ბურჟუაზია—(სინონიმი კაპიტალისტის), პროლეტარიატი, კომუნისტი, ასეთია ისტორიულ განვითარების ეს სამი პროტოგონისტი, რომელთა შესახებ მანიფესტის ავტორები ცდილობენ გამოავლინონ ის აუცილებელი კანონები, რომელიც გამწვავებულ კლასთა ბრძოლას განსაზღვრავენ. «ყოველი საზოგადოების ისტორია, კლასთა ბრძოლის ისტორია არის». თანმიმდევრობით, ანტიკური (ძველი საბერძნეთის) და ფეოდალური საზოგადოება (თავისუფალი ადამიანი და მონა, პატრიციები და პლებეები, ბარონი და ყმა, ხელოსნები და სოფლის მუშაკები) უკვე იცნობდნენ კლასთა შორის ანთაგონიზმს, სოციალურ დაბალ ფენების უღმრთებელ ჩაჯვრას.

ეს კლასთა ბრძოლა არ მოსპობილა თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში. სადაც გაბატონებული მდგომარეობა ბურჟუაზიას ეკუთვნის, ე. ი. პრივილეგიურ კლასს—კაპიტალისტებს. ხოლო მუშათა კლასის ყველგა, შედარებით წინააღმდეგ საზოგადოებასთან. მეტ-ნაკლებად უფრო განმარტივებულია (ახლა უფრო, ვიდრე წინად, ზომიერ ფორმებში სწარმოებს). ბრძოლა ისე მწყობრად მიმდინარეობს, რომ მთელი საზოგადოება მკვეთრად იყოფა ორ დიდ დაპირისპირებულ მტრულ ბანაკად, ორ დი ამეგტრალურად შემართებულ კლასად: ბურჟუაზიად და პროლეტარიატად.

კლასთა არსებობა დაკავშირებულია, საერთოდ, საწარმოო განვითარების ისტორიულ პირობებთან. თანამედროვე ბურჟუაზია ჩაისახა და წარმოიქმნა, იმავე ფეოდალურ საზოგადოების, სწორედ ამ ბრძოლათა ნიადაგზე. ფეოდალური რეჟიმი (მწყობრი) მეტად ვიწრო გასაქანს იძლეოდა საწარმოო ძალების განვითარების და გაერცობისათვის (ექსპანსივისათვის). ის აბრკოლებდა წარმოებას, ბორკილებს ადებდა მის წინმსვლელობას. «საქირო იყო ამ ბორკილების დამსხვრევა» (კომ. მანიფესტი). იმავე დროს, ბურჟუაზია, ინდუსტრიაში, ის ძრავი იყო, რომელმაც წარმოშვა მთელი რიგი ტექნოლოგიური რევოლუციებისა, ახალი საშუალებანი ტრანსპორტისა; მანუფაქტურიდან დიდი მრეწველობა დაიბადა, ამუშავდა ორთქლის მანქანები, გაფართოვდა მსოფლიო სავაჭრო ბაზარი. ამას მოჰყვა, მანამდე გაუგონარი, ყველა ქვეყნებთან ვაჭრობის სწრაფი გაჩაღება, რკინის გზების და ნაოსნობის ქსელების არაჩვეულებრივი გაზრდა.

«ბურჟუაზიამ, კლასიურ ბატონობის თითქმის საუკუნოვან არსებობის გასწვრივ, შექმნა უამრავი და კოლოსალური საწარმოები, რომელიც არ შეუქმნია მის წინანდელ ხანგრძლივ თაობას» (კომ. მანიფესტი). მანიფესტის ავტორები არ იშუ-

რებენ მრეწველთა კლასის—მოლიონერების ქება-დიდებას, როგორც ისინი უწოდებენ. «ინდუსტრიის თაოსნობის ნამდვილ არმიას, მოდერნულ ბურჟუაზიას».

ხოლო, ზოგიერთ მარქსისტების თქმით, სამგლოვიარო, საუკუნო განსვენების ქება, როგორც ისტორიულად განწირულ კლასზე, სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, გამართლებული და დრამატიულ დასასრულის მომასწავებელია. მართლაც, ანალოგიურ ისტორიულ პროცესის თანახმად, ისე როგორც ფეოდალიზმში დაამსხვრია ბურჟუაზიამ, ასევე პროლეტარიატი გაანადგურებს კაპიტალისტურ მწყობრს. თანამედროვე საწარმოო ძალები აჯანყებულია ახლანდელ კერძო წარმოების ურთიერთობის წინააღმდეგ. სადაც კერძო წარმოება ისე შეიკუმშა, რომ მას აღარ შეუძლია ეს უზარმაზარი, ვეება სიმდიდრე, რომელიც კაპიტალიზმის ზღაპრულ განვითარების შედეგია. თავის წიაღში დაიტაროს და მთელი საზოგადოების, არამკონებელი კლასის გაუზიარებლად დარჩეს. მარქსისტების ზეპროდუქციით გამოწვეული ეკონომიური კრიზისების სანუკვარი თეორიები. რომლის შესახებ ასე ხშირად წინასწარმეტყველებდენ როგორც ნამდვილ «სოციალურ ეპიდემიას», ჯერზნობით არ გამართლდა და საყოველთაოდ კაპიტალიზმის მოსპობით არ დამთავრებულა. ის საშუალებანი, რომელსაც ბურჟუაზია იყენებს (მაგ. ახალი ბაზრების მოპოება), რომ პერიოდული ეკონომიური კრიზისი აიცილოს და ამით საქონლის წარმოების და გასაღების მეთოდი გაანჯანსაღოს. თუ დასაუღეთში ამ კრიზისების შესახებ ახლა ნაკლებად ლაპარაკობენ და მახე არავითარ იმედებს არ აწყობენ, საბუთა-კავშირის მარქს-ლენინისტები კი უფრო დაყენებით იცავენ კაპიტალიზმის კრიზისების თეორიას, რა თქმა უნდა პოლიტიკური მოსახრებით. ყოველგვარ ობიექტიურ პირობების გარეშე, რითაც კომუნისტურ მოძრაობას, შინ და გარეთ, ილუზიებით კვებავენ, რომ კაპიტალიზმის აღსასრული მოახლოვებულია, მანამდის კი კაპიტალიზმმა და კომუნისმმა მშვიდობიანად უნდა ითანაარსებოს.

როგორია პროლეტარიატის ბრძოლის პირობები? დღეს პროლეტარიატმა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ისევე შეაბრუნა ბრძოლის იარაღი, როგორც ოდესღაც ბურჟუაზიამ ფეოდალიზმის მოსასპობად აღმართა, რადგან ინდუსტრიის წრელში წარმოიშვა მუშათა კლასი, რომელიც ამ ბრძოლის ტექნიკას გამოიყენებს იმავე კაპიტალისტების წინააღმდეგ: ეს კლასია თანამედროვე მუშათა კლასი ანუ პროლეტარიატი, რომელიც კაპიტალიზმის «მესაფლავედ» გახდება. აი, გამოჩნდა ახალი სოციალური ძალა, ახალი კლასი—პროლეტარიატი, საწარმოო ცენტრთან გარსშემოკრებილი, მას შეუძლია თავის რიცხობრივ და გიგანტიურ მოცულობით მძლავრად შეიმართოს და დაუპირდაპირდეს ბურჟუაზიას, როგორც მოხაზუ-

ლია «კომუნისტური მანიფესტი» ერთერთ პარაგრაფში (ბურჟუაზია და პროლეტარიატი).

ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლა გაცილებით ადრე დაიწყო, ე. ი. როცა ფეოდალიზმის დროს თვით ბურჟუაზიას ჰყავდა თავისი ყმები. ეს ბრძოლა უფრო გამწვავდა კაპიტალისტურ სახელმწიფოს პირობებში, ხოლო არაორგანიული, ადგილობრივ შეუქავშირებელ ბრძოლას მოჰყვა აშკარა დარაზმული ორგანიზებული ბრძოლა. თანდათან მრავალრიცხოვან მუშათა კლასის რიგებს წამოეხმარა წერტილ-ბურჟუაზიული ელემენტები, რომელნიც ადრევე იყვნენ მსხვილი ბურჟუაზიის მიერ, განადგურებული და ეკონომიურ სარბიელიდან განდევნილნი. კიდევ მეტიც, ამან ხელი შეუწყო მუშათა მასები გაერთიანებული და თავის ძალის ზრდით გათვითცნობიერებულნი. მნიშვნელოვან მებრძოლ ძალად ქცეულიყო.

უდაოა, რომ პროლეტარიატი არ არის ერთადერთი კლასი, რომელიც კაპიტალიზმის წინააღმდეგ არის შემართული, მაგრამ ის არის უეშმარტად ერთადერთი რევოლუციური კლასი და ამ ფაქტით, ის მოწოდებულია «კაპიტალიზმს სასიკვდილო ისტორიული განაჩენი გამოუტანოს». ეს ის ძალაა, «რომელსაც მომავლის გამარჯვებულის ალაში ხელთ უპყრია».

რატომ? ეს იმიტომ, რომ სხვათა შორის, პროლეტარიატი თავის სოციალურ მდგომარეობის გამო, მუიდროდ დაკავშირებულია მომავალ სოციალისტურ საზოგადოებას. რომლისათვისაც ბურჟუაზიული მწყობრი, მის მიერ მიჩემებულ პრეტენზიული ფასეულობით, ძველი ფორმით, უკვე აღარ არსებობს და წინანდელი კლასთა შორის ძალთა განწყობილებაც საგრძნობლად შეცვლილია: პროლეტარიატს კარძო საკუთრება არ გააჩნია, მისი ცოლ-შვილთან ურთიერთობა, ოჯახური მატერიალური მდგომარეობა ძალზე განსხვავდება ბურჟუაზიულ ოჯახების ურთიერთობის და მდგომარეობისაგან. თანამედროვე ინდუსტრიის შრომა. როგორც იხელისში, ისე ამერიკასა, გერმანიასა და საფრანგეთში, პროლეტარიატისთვის არ ატარებს რაიმე, განსაკუთრებულ ნაციონალურ ხასიათს; კანონები, შორალი, რელიგია მისთვის ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობაა და მეტი არაფერი, რომლის უკან იმდენათვე თვით ბურჟუაზიის ინტერესები იმალება». (კომ. მანიფესტი).

ამაგარდა, მუშის ხელფასის შეუწყვეტელი შემცირება, რასაც მარქს ენგელსი თავიანთ ნაწერებში ასე დაჟინებით ამხელდენ და რაც შემდეგ შათ კანონად აქციეს (მზარდი პაუპერიზაციის—გალარბების კანონი). მათი აზრით, მანვენებული იყო ბურჟუაზიის უმწეობის, რომ ისინი ხანგრძლივად ვერ შეინარჩუნებდენ გაბატონებულ კლასის მდგომარეობას. მუ-

შათა ჩაგრული კლასი კაპიტალიზმის პირველ ხანებში შევიწროების გამო ნაკლებად იყო ნივთიერად უზრუნველყოფილი, მას არ ჰქონდა არავითარი გარანტია ნორმალური არსებობის. თანამედროვე პროლეტარიატი, რომ მატერიალური მდგომარეობა აიმაღლოს ინდუსტრიის ზრდასთან ერთად, თანდათან, პროგრესიულად «ძირს ეშვება».

პროლეტარიატის ასეთ პირობების გამო, მის რიცხოვრები მატებასა და ორგანიზაციულ გაძლიერებასთან დაკავშირებით, თავისთავად იქმნება, აშკარა რევოლუციური განწყობილება, რასაც დიდი გადატეხა მოჰყვება: შეკავშირებული და გაერთიანებული პროლეტარიატი აღიმართება ახალ მართველ კლასად, ბურჟუაზიაზე თავის ბატონობას ძალით დაამყარებს, რომ შემდეგ შესძლოს «დესპოტიურად» მოსპოს ძველი წარმოებითი წესები და საწარმოო საშუალებათ (იარაღებს) თვით დაეპატონოს. «პროლეტარიატის დიქტატურა» — რომელიც «კომუნ. მანიფესტში» არაა ნახსენები, მაინც ეს გამოწინასწარი ფართოდ გავრცელდა, რადგან მარქსის სხვა ნაწერებში გარკვეულად და ხშირადაც იყო ნათქვამი, ხოლო შენდევით მარქსის, ენგელსის და სხვების მიერ სხვაგვარად იყო განმარტებული, საგრძობლად შერბილებული.

უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ «მუშებს სამშობლო არ გააჩნიათ» და რომ მათი ბრძოლა ძირითადად ინტერნაციონალურია, ის უნდა მაინც ფორმით ნაციონალური იყოს, სხვანაირად რომ ვსთქვათ, მუშათა კლასის ეროვნულ ერთეულს ევალბა საკუთარ ბურჟუაზიის საბოლოო ანგარიშში მკაცრად გაუსწოროს, ე. ი. გაანადგუროს, პოლიტიკური ხელისუფლება ძალით დაიპყროს და ამჯერად «არაბურჟუაზიულ ნაციად» იქცეს, ე. ი. გაბატონებულ კლასად გახდეს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ამჟამად პროლეტარიატის აღზევება რადიკალურად განსხვავებული იქნება, ვიდრე წინანდელ გაბატონებულ კლასის მმართველობა: «აქამდის ყოველი მოძრაობა ისტორიულად, უმცირესობათა მოძრაობა იყო და მხოლოდ საკუთარ კერძო ინტერესებს იკმაყოფილებდა. პროლეტარიატის მოძრაობა კი არის თვითნებური — სპონტანური მოძრაობა, მასიური უმრავლესობის, მთლიან საზოგადოების სასარგებლოდ. ახლანდელ საზოგადოებაში პროლეტარიატი სოციალურ წყობის სულ დაბალ ფენას წარმოადგენს, და ისე მას არ ძალუძს ამალდდეს, ზედიშართოს, თუ კაპიტალისტურ სტრუქტურის ზედნაშენს. მის ეკონომიურ ბაზისს არ დაანგრევს და არ მოსპობს იმ სოციალურ კლასს, რომელიც ახლა ბატონობს». (კომ. მანიფ.).

ეს ძლიერი სოციალური ფენომენი, გეოლოგიური ფენის გამოხატულება, უკვე შესაძლოა განიმარტოს, როგორც მახწყვებელი ყოველი სოციალური დიფერენციაციის, განსხვავების დასასრული. ის ფაქტი, რომ მანიფესტის თანახმად, თუ

კლასთა ბრძოლა დიალექტიკური განვითარების კანონით, აუცილებლად უნდა დამთავრდეს პროლეტარიატის დესპოტიური ბატონობით. ეს სრულებით იმას ნიშნავს, რომ განმარჯვებული, ძლევამოსილი პროლეტარიატი ბურჟუაზიას პირისპირა მიწის ადგვის. პროლეტარიატის დომინაცია, ეს მისი დიქტატურა, აუცილებლად, მაინცადაშინც არ იქნება უკლასო საზოგადოება. ერთბაშად ვერ წარიმართება ყოველი კლასის მოსპოვებით.

უკლასო საზოგადოება,—მასხადაძმე, არც სახელმწიფო ორგანიზაცია, არც პოლიტიკური ხელისუფლება: რადგან ეს უკანასკნელი—სახელმწიფო სხვა არ არის რა, თუ არა იგივე «სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, გაბატონებულ კლასის ხელისუფლება, რომელმაც სხვა დანარჩენი კლასი დაჩაგრას». მასხადაძმე, ეს არც იქნება უკლასო საზოგადოება, როგორც ამას «კომ. მანიფესტის» ავტორები ამტკიცებენ.

პროლეტარიატის დიქტატურა, საშხადაძმე, ერთად-ერთი ეტაპი იქნება, დროებით მაშუალეობა, ისტორიულად აუცილებელი, ზოლო მაინც გარდამავალი. დიალექტიკური პროცესის შესადგვისად, «სინთეზის» მომენტში, ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების მაგივრად, მისი კლასებით, მისი ანტაგონისტური კლასების, მისი პოლიტიკური ორგანოებით, იძულებით სახელმწიფო აპარატები იქნება: «ასოციაცია, სადაც თვითუღის თავისუფალი განვითარება, ძირითადი პირობაა თავისუფალ განვითარებისა». (კ. მან.).

ენგელსმა, სწორედ, ეს აზრი გაატარა, როცა მან 1883 წ. «კომუნ. მანიფესტის» ახალ გამოცემას წინასიტყვაობა წაუშვებდა, სადაც მან მკვეთრად განსაზღვრა და დაადგინა ამ დოკუმენტის «სახელმძღვანელო და ძირითადი იდეები». დიას, ამბობს იგი: «კაცობრიობის ისტორია ყოველთვის კლასთა ბრძოლა იყო, ექსპლოატატორულ (მყველფელ) და ექსპლოატირებულ (გაყველფილ) კლასებს შორის. აქცა ამ ბრძოლამ უკვე გადამწყვეტ ფაზისს მიაღწია, სადაც ექსპლოატირებულ და ჩაგრულ კლასს, პროლეტარიატს აღარ შეუძლია, იმ კლასს, ბურჟუაზიას, რომელიც მას ამდენხანს ყველფდა და ჩაგრადა, სრული თავისუფლება მიანიჭოს. სანამ მთელი საზოგადოება საბ ლოოდ არ იქნება განთავისუფლებული. ე. ი. სანამ ერთჯერ და სამუდამოდ არ იქნება მოსპობილი ექსპლოატაცია, ჩაგრა და კლასთა ბრძოლა».

ჩვენ ზემოდ ვსთქვით, რომ ენგელსმა მანიფესტის ძირითადი და სახელმძღვანელო იდეია მკვეთრად ჩამოაყალიბა (ის ჩვეულებრივ, მისთვის დამახასიათებელ მოკრძალებით «კომ. მანიფესტის» შედგენის ავტორობას კ. მარქსს აკუთვნებდა,—«მისს აბსოლუტურ და განსაკუთრებულ საკუთრებად სთვლიდა») და ეს იდეია იყო შემდეგი: ისტორიის ყოველ ეპოქაში, რეალური ბაზისი (მატერიალური ფუძე,—იდეო-

გიური, რელიგიური, ფილოსოფიური და ხელოვნების ფორმები, ასევე იურიდიული ურთიერთობა, პოლიტიკური სისტემა), მოძიებული უნდა იქნეს მატერიალურ ცხოვრების საწარმოო წესებში, მის სოციალურ სტრუქტურაში, სხვაგვარად რომ ითქვას, საზოგადოების კლასებად დანაწილება-გაყოფაში, რაც მას (წარმოებით წესებს) თანყვება.

როცა ეს მატერიალური ბაზისი იცვლება, როცა წარმოების ერთ წესს მეორე ცვლის, ყველაფერი, დანარჩენი იცვლება, — რაც მისი (მატერიალური ბაზისის) ზედნაშენია. ასეთია მოკლედ ისტორიულ მატერიალიზმის მოძღვრება: აი, თუ გნებავთ ნაკლი და ცალმხრიობა ამკონცეფციისა, თურმე მხოლოდ საწარმოო წესების ცვლებადობა ახდენს სასწაულებს, სხვა უფრო მნიშვნელოვანი (მაგ. ადამიანი) ფაქტორი გამორიცხულია. აქ ისტორიული მატერიალიზმი ყოველს შექმნილობას ეკონომიურ მატერიალურ ურთიერთობას აკუთვნებს იმას, რასაც კ. მარქსი ერთ დროს მაინც სხვაგვარ განმარტებდას აძლევდა, ე. ი. ეკონომიურ განვითარებას ისკაცობრიობრიობის «ზოგად სულიერ და გონებრივ წინსვლის წედვეად თვლიდა». და არა მარტო ეკონომიურ ურთიერთობის შედეგად. ასეთია ის შეთავსებული იდეა. რასაც ვერ ვპაულობთ ვერსად გარკვეულად სხვა ნაწერებში, გარდა «კომუნ. მანიფესტისა», რომელიც უფრო განკუთვნილი იყო მუშების საკითხავად, ხოლო თავიდანვე პირვანდელი ვერსია დარჩა სახელმძღვანელო იდეიად. მხოლოდ ამ ძირითადი იდეის მატარებელი პროლეტარიატი იყო და კომუნისმის მოძღვრება მიმზიდველ ძალადხდებოდა, ხოლო მაინც ეს კომუნისმის ყოველნაირი თეორიები მუშებისათვის შეუცნობელი და გაუგებარი დარჩა ბოლომდის. აქ უნდა ვიგულისხმობთ მარქს-ენგელსთან ერთად ლონდონის კომუნისტთა დიგა, ამიერიდან კომუნისმის კრედოს სრულად დამორჩილებული, რომელიც მათ თავზე მოახვიეს მეცნიერული სოციალიზმის ქეშმარიტება და ისტორიული მისია რომელიც პროლეტარიატს კომუნისმის განხორციელებაში უნდა შეესრულებოდა.

საერთო არაფერია თუნდაც ამ ახალ სტილის კომუნისმისა და წინანდელ კომუნისმს შორის. არც სხვადასხვა სოციალიზმის ფორმის შორის: «კომუნისმის თეორიული კონცეფცია, სრულებით იმ იდეებზე არ არის დაფუძნებული, რომლის პრინციპები ამა თუ იმ ეპოქის რეფორმატორებმა გამოიგონეს: ისინი არსებულ კლასთა ბრძოლის ზოგად რეალურ პირობების ამსახველია, ისტორიულ მოძრაობის გამოხატულება. რომელიც ჩვენს თვალს წინ ხდებდა... თეორიულად, კომუნისტებს დანარჩენ პროლეტარიატზე ის უპირატესობა აქვთ. რომ ისინი (კომუნისტები), მათი პირობების მიხედვით, გონებრივად (შეგნებით) უფრო მაღალ დონეზე იმყოფდებიან».

ბიან, და ამის გამო პროლეტარიატის მოძრაობის ზოგად მიზნის—კომუნისმის განხორციელების ისტორიის პროცესში, მათი ზვედრითი წონა მეტად დიდია» (კომ. მან.).

მარქსს გონებრივი სიმახვილე და სიღრმე არ აკლდა: თითქმის ყველაფერი ნათელი და გარკვეულია, სოციალიზმის დოქტრინა მეცნიერულად გაშუქებული როგორც ცნობილია, მარქსი და ენგელსი უარყოფდნენ არამეცნიერულ, უტოპიურ, სანტიმენტალურ იოლ ილიუზიებს კომუნისმის განხორციელებისას, იდეალს, რომელსაც წინა თაობა ასე ნათივად ესწრაფოდა და რაც ასევე მკაცრ რეალობას დაშორებული იყო. პირიქით, მარქსი და ენგელსი სისტემატიურად ირკვევდნენ და გულმოდგინედ სწავლობდნენ ეკონომიურ და სოციალურ ფაქტებს. მეცნიერულ დაკვირვებას ახდენდნენ და უნდოდნენ შეეცნოდნენ ობიექტიური სინამდვილის მთელი მოცულობა. რასაც მაშინდელი საზოგადოების გარეშე წარმოადგენდა. მათი მთავარი მიზანი იყო ამოეცნოთ თუ რა ცვლილებები სწარმოებდა მიმდინარე ცხოვრებაში. კიდევ უფრო აინტერესებდათ განუვრცობით ისტორიის განვითარების პროცესი. შეეცნოთ ძველი და ახალი საზოგადოების შეუწყვეტილი ტრანსფორმაცია, მისი მომავალი გარდაქმნის ტენზი. მათი დაუცხრომელი ზრუნვა იყო, სხვადასხვა ერის პროლეტარიატისათვის ერგებნით ბრძოლაში მათი არათანაბარი ნაწილები «ინტეგრალურ მიზნის»—კომუნისმის დასაწყობებლად, რომლისაკენ ამიერიდან მიინც უნდა წარმართოს შეუწყვლელად მუშათათა კლასის საერთაშორისო მოძრაობა. საერთოდ, რომ ეს ნაკლი და დაბრკოლება მუშათა კლასის უთანაბრო შეგნება მოისპოს, რომ მუშათა კლასი ერთ მთლიან შეგნებულ ძალად იქცეს, ამისათვის საჭიროა პროლეტარიატთან კომუნისტურმა ლიგამ ორგანიული კავშირი დაამყაროს, ცნობიერი და შეგნებული ბრძოლისათვის ორგანიზაციულად დაირაზმოს. ასეთნაირად ჩამოყალიბდა მარქსის და ენგელსის იდეოლოგიური პოზიცია და პრაქტიკულ მოქმედების სტრატეგია, რასაც მოჰყვა პირველი ინტერნაციონალის დაარსება და კაპიტალიზმთან სასტიკი ბრძოლის გამოცხადება. ბრძოლა ათეულ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, ზოგან რევოლუციური და ზოგან რეფორმული გზით და დასრულდა რუსეთის თებერვლის რევოლუციით, შემდეგ კი ოქტომბრის სამხედრო შეთქმულებით და გადატრიალებით. ბოლშევიკების პარტია (ლენინის მეთაურობით) დაეპატრონა ხელისუფლებას. თუ როგორ წარიმართა შემდეგ სოციალიზმის მოძრაობა, ამის შესახებ მეორე წერილში.

ს. ჰინაქაძე.

დამსხვრეული ილუზიები?

გაზეთ «სამშობლოს» 1970 წლის აპრილის ნომერში მოთავსებულია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გიგლა ჯანგველაძის წერილი «დამსხვრეული ილუზიები». კითხულობ კაცი ამ წერილს და გიკვირს, გენანება, გეცოდება; გულწრფელია მისი ავტორი? კარნახით არის დაწერილი? უეცობაა? უპასუხისმგებლობაა?

ყოველ შემთხვევაში ჩვენი მოვალეობაა პასუხი გავცეთ. წერილის ავტორი თითქოს პატრიოტულ სამოსელში გვევლინება და არაპატრიოტულ საქმეს კი აკეთებს. მაშ რა პქვია ფრიად პატივცემულ მწერალ ქალზე ღვაწმოსილ ქ-ნ თამარ პაპავაზე თავდასხმას და მისი წიგნის «გაბნეული საფლავები»-ს ასე უდიერად მოხსენიებას?

რას უსაყვედურებს მეცნიერების ეს კანდიდატი ქ-ნ თამარ პაპავას? იმას რომ ქ-ნმა პაპავამ უცხოეთში გაბნეული ქართული საფლავები პატივისცემით მოიხსენია. დიას, ბატონო გიგლა ჩვენ უცხოეთში გარდაცვლილ ქართველთა საფლავებს პატივს ვცემთ. და საერთოდ მიცვალებულთა გინება ავად ხსენება და საფლავიდან ამოთხრა, საბჭოეთში მიღებული, უღირსობაა. და თქვენ რა უფლება გაქვთ რა დამსახურება და რას წარმოადგენთ, რომ ჩვენთვის სათაყვანებელ საფლავებს უდიერად იხსენიებთ?

ჩვენც კარგად ვიცით, რომ ნოე ქორდანია, ირ. წერეთელი და სხვებიც რუსეთის სოც.-დემოკ. პარტიას ეკუთვნოდნენ მაგრამ ამ პარტიის ყოფილ წევრთა შორის ქორდანია ცნობილია როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი და ქართველთა დიდი უმრავლესობის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი და თქვენ გაშფოთებთ. რომ ჩვენ მის საფლავს პატივს ვცემთ, მაგრამ სრულიად არ გაშფოთებთ, რომ სხვა ყოფილ სოციალ-დემოკრატის, მახარაძის საფლავი დღეს გვირგვინებით არის შემკული. ქორდანია და მახარაძე ერთ დროს ორივე ერთს პარტიას ეკუთვნოდნენ მაგრამ მათი გზები გაიყარა და თქვენ გინდათ თქვათ, რომ მახარაძე ქვეყანას ემსახურა და ქორდანია ქვეყნის მტერი იყო? ვაი თქვენს კაცობას და თქვენს მეცნიერებას.

ჩვენი დიდი მწერალი გრიგოლ რობაქიძე ფაშისტების მებოტბეკი არ იყო არამედ საქართველოს დაუღალავი მესოტბე იყო სიკვდილამდე. იგი სწორედ იმიტომ მოხვდა უცხოეთში, რომ იქ დარჩენილს მას ან მტრის მებოტბეობა უნდა გაეწია ან დადუმებულიყო, არა და ცხელი ტყვია ელოდა როგორც ტიციან ტაბიძეს, მიხეილ ჯაფახიშვილს და პაოლა იაშვილს. პოეტი და მწერალი ხარაზი ან მეჩექმე ხომ არ არის

რომელსაც შეევეთით და ფეხის ზომანე ფეხსაცმელს უკვეთავენ. ზეცით მოვლენილი მუხა ბუნების მოვლენილი არის და ამიტომ ვერც ფაშისტური, ვერც პროლეტარული დიქტატურა მას გენს ვერ შეაცვლევინებს.

ასევე შემადრწუნებელია თქვენი კადნიერი და თავხედური ცრუ ბრალდება ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მიმართ. «ნიკოლოზის პოლკოვნიკი»-ო, ნუთუ ამით ფასდება ადამიანი? განა შეუძლებელია მტრის სამხედრო ფორმა გაცვათ, გული კი სამშობლოსათვის გიძგერდეთ? ან ქართულად მოკანხული იყო, გული კი მოალაღობისა გქონდეთ? რაღას უცდით ამოყარეთ საფლავიდან ალ. ჭავჭავაძე, გრიგ. ორბელიანი, დავით კლდიაშვილი; დასწამეთ გარუსება. განა მათ არ უტარებიათ ნიკოლოზის ჩინები და მენდლები?

«თავადი კნიაზი» როგორც თქვენ ბრძანებით, პირდაპირი შთამომავალი იყო კახეთის გმირის საქართველო სფერო თავდადებულის ბიძინა ჩოლოყაშვილის, მისდევდა შეუწყველად მის კვალს, უყვარდა თავისი ერი. თავის წოდებას და თავის ჩინებს ფიანდახად უშლიდა მას ფერხთქვეშ, უყვარდა და პატივს სცემდა გლეხობას, მის დღეში მას არ უამყენია თავის თავადობა-კნიაზობით, თავის საყვარელ შმა სიკოთი. გლეხებში იყო გაზრდილი. ძალას, კეთილს შობილურს, ქართველურს სიბრძნეს, სიმამაცეს იგი მხოლოდ და მხოლოდ ამ პატიოსანს გლეხობაში ვპოვებდა. და განსაკუთრებით კი თავის სოფელ მატანში. მათთან ილხენდა, მათთან იბრძოდა და მათთან სიკვდილს ნატრობდა; უყვარდა ქაქუცას ფშავ ხევს გაურბოდა მათ, ღარიბ ქოხებს იზიარებდა მათთან ერთად; მათ მიერ ნაცარში გამომცხვარს ქერის ხშიადს და ენობა კალტს (ერბო და ხაჟო არეულ). ქონება მას ფიდი არას დროს არ ვქონია, და თუ გააჩნდა მცირე სახნავ-სათესი მიწა, იცრე მან სოფელს მიუძღვნა. ქორწილებში, თუ დღეობებში. ყველგან სიხარულით იყო მიწვეული: უმრავლესობას ეს ხეცულ შირონობა ვქონდა დამკვიდრებულს. იგი არ იცრეცხდეს არც ცოცხალს და არც მიცვალებულს. მისი სოფელში ჩანოსკლა მუდამ, დიდს სიხარულს იწვევდა დღეობებში. უდიდესი თუ ჯირითში სოფლის ფალავნად ითვლებოდა. დიახ, გლეხობა ამყობდა ქაქუცათი. ხშირად მის არ ყოფნის დროსაც, კარგს მოჰიდავებე იტყოდნენ გლეხები «აბა, აბა შეჰხედე, ქაქუცა სავით არ წამოიღო მოგვერდზე»-ო, ან მოჯირითებე—«გახე, გახე, ქაქუცასავით არ მოახტა ცხენსა»-ო. სოფელში დანტუნებულს ქაქუცა, მყისვე, იხდიდა სამხედრო ტანის-ნოს, იცვამდა გლეხურს ჩოხას. ერეოდა მათში, სიმინდის თოხნაში და ყანის მკაში მესვეურობდა მათ; და ეს ყანის მკის სოფლის მეთაური, მტერთან ბრძოლაში მათ მეთაურად იქცა. უყვარდა გლეხობას ქაქუცა, უყვარდა და ამყობდა მით.

გარემოებამ მაიძულა მისი დასახასიათება, თორემ ამ სა-
თნო ადამიანს ჩვენი დაცვა არ სჭირდება. დარწმუნებული
ვარ ეხლაც მთელს საქართველოში და განსაკუთრებით თავის
საყვარელს კახეთში, მის სახელს კიდევ იხსენიებენ, როგორც
გმირისას, მგრძობიარედ. და მის საღვებგოდლოს უჭემრად
სვამენ ახალგაზრდა ქართველები. თქვენი თქმით, მისმა მო-
თარგმე რანზმა, დიდი ზიანი მიაყენა ერს. დამისახელეთ ბა-
ტონო, რომელ ქართველ მამულიშვილს გამოსჭრა ქაქუცამ
ყელი? რაც შეეხება სისხლის ღვრას. უდანაშაულო და პატი-
ოსანი ხალხის თავის შეწირვას, ნუთუ მეხსიერება გაკლიათ?
ან შესაძლებელი არის, არც იცით, თუმცა ეს ისტორიულ
მეცნიერებათა კანდიდატისთვის დაუჯერებელი არის. აღი-
დან საქართველოს დაპყრობისა რუს გამხეცებულ ბრბოთა
მიერ, უდანაშაულო ქართველთა სისხლის ღვრა არ მოსპო-
ბილა. ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ ეს სისხლის ღვრა მოსდა
ქაქუცას მიერ? მთელს საქართველოში იხვრიტებოდა ქარ-
თველობა, ირწყვებოდა არემარე ხელებშეკრულ დახვრეტლ-
თა სისხლით. საქართველოს ისტორიაში, მგონი არ უღვრია
ამდენი საქართველოს სისხლი. არცერთ ურჯულოთა ურდო-
ების, შემოსეულს მტერს. აყრა და გადასახლება, ქართველთ
ოჯახთა დაწიოკება, და სამღვდელოების, და განსაკუთრე-
ბითკი, პატიოსან გლეხობის, და შრომის მოყვარული მე-
შის. აღვლევებულს, რუსთა მიერ შეწუხებულს გმირს ქარ-
თველს ერს, სათავეში ჩაუდგა ყველანაგან საყვარელი გმირი
ქაქუცა, და თავის მოთარაშე (თქვენი თქმით) თავდადებული
ერთი მეუა ქართველობით შეებრძოლა შემოსეულს, გამხე-
ცებულს, ადამიანთ წითელ სისხლით შეღებილს და თვით წი-
თლად მონათლულს რუსეთის უშველებელ ვეშაპს. ერს ანა-
ცვალა, თვისი საყვარელი ოჯახი. თავის პირადი სიკეთე და
ცხოვრება, გაიჭრა ტყეში და იწყო უთანასწორო ბრძოლა
დამპყრობელთა წინააღმდეგ.

სამიწლის განმავლობაში, უოჯახოდ, უსახლკაროდ, ხში-
რად მშიერ-ტიტყელნი, მაგრამ მამულისშვილ ურად აღტაცე-
ბით, წმინდა და უანგარო სულისკეთებით, სამშობლოსადმი
თავის დადებით, თავ-ზარიც დასცა მტერს მისმა მოქმედებამ.
მან კვლავ ჩაუნერგა იმედი განწირულს ერს.

თანამედროვე ხელისუფლება, სცდილობდა, ყოველ მხრივ
მის მოსპობას, მხაკვრული პროპაგანდით მის გასვრა- დაცე-
მას; მონათლული იქნა, დამცემ-მცარცველად, ბანდიტად და
ხალხთა სისხლის მსმელად. ამო იყო ყველაფერი ეს! ერს
უყვარდა გმირი ქაქუცა. ცილის-წამებამ მისი პრესტიჟი ვერ
დასცა. არც გამოინახა ხალხში იუდა გამცემელი, და მოლა-
ლატე, მიუხედავად ხელისუფლებისგან დაპირებულ ჯილ-
დოსი. იგი ებრძოდა მტერს პირდაპირ ახდილად, იარაღით
ხელში ვით თვისი წინაპარი ბიძინა ჩოლოყაშვილი.

არც ქაქუცას და არც ჩვენ, მის პატივის და თაყვანის მცემლებსაც, რუსი არასდროს გვეყვარებია; არც თეთრი და არც წითელი. რუს იმპერატორთა დინასტია დეჰქანდა და ანიავებდა ქართველ ერს, და უღკვეთავდა ყოველგვარ თავისუფლებას, და წითელი რუსეთიც მის გზას და პოლიტიკას დაადგა, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ, ცარიზმის რუსეთი აპატიმრებდა, ასამართლებდა და თოკით ახრჩობდა ან და ასახლებდა ციეს ციმბირში; ათეულებით, საქართველოს ერის საყვარელ შვილებს და წითელი რუსეთიკი გაუსამართლებლად ასახლებდა და ხვრეტდა ათასობით უდანაშაულო მამულიშვილთ. და, თქვენ დღეს ქაქუცას უსაყვედურებთ ნიკოლოზის პოლიკოვნიკობას?! ბატონებო! თქვენს მხედრობას, თქვენს პოლიტრუქებს, თქვენს კომისრებს, ვისი ეპოლეტები აკრიათ? ვისი ფორმა აცვიათ? ლენინის ორდენები რომ უმშვენებთ გულმკერდს, ვისთვის იბრძვიან? კვლავ ვეშაპივით ხახა-დაღებულ რუსეთისთვის, დანუთუ თქვენ სხვას აყვედრით ნიკოლოზის რუსეთისთვის სამსახურს? არა ბატონო, დაიჯერეთ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, თავისი სამშობლო, ჩინ-მენდლებზე არ გაუცვლია. თავისი კეთილი და მყუდროდ ცხოვრებას, ტყეში გაპტრა, წვიმა და წიკლვარი. სიცივე, შიმშილი და წყურვილობა ამჯობინა, რომ დაეცვა საქართველო მტერთაგან და უთანასწორო ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდა შეჭმაროდა უცხოეთის მიწას. და იქაც თვისი ფაქიზი გრძნობით, პირში მთქმელობით, იშვიათი სიპატიოსნით, კეთილი რჩევა-დარიგებით იყო განთქმული. ცრუთა და გამყიდველთა ბტერი ყველასგან სიყვარულით და პატივისცემით ცნობილი იყო ჩვენი საყვარელი ქაქუცა.

მიესვენა იგი უცხო მიწას და თან წამოღებული საქართველოს ერთი მუქა მიწა მიაყარეს უცხო მიწასთან ერთად, სპეტაკს და უშიშარს საქართველოს გმირის გულს.

ბატონო გიგლა თქვენ ალბად ჯერ ახალგაზრდა ბრძანდებით და მიუხედავად თქვენი მეცნიერული ხარისხისა გამოცდილება გაკლიათ. ჩვენ აქ მყოფი ქართველები მთელ ჩვენს იმედს ქართველ ახალგაზრდობაზე ვამყარებთ და მათი წარმატებით ვხარობთ. ნუღარ ჩაიდნთ საძრახ საქციელს და ნუ შევევიგინებთ ჩვენს წმინდა საფლავებს. და ამ წერილის დასამთავრებლად ამას გეტყვით:

ჩვენსა მამულს, სისხლით ნამულს,
ვინც შავი დღე მოაჩვენა
თეთრი რუსი და წითელიც
ორივე ღმერთმა შეაჩვენა.

ელინბარ მაყაშვილი.

ს ი ბ შ შ ა

წარმოდგენილი ელ. პატარაობის მიერ
მთავარსარდალ ლენ. კვინიტაძის საფლავთან.

თანამემამულენო!

უცხო, მაგრამ ჩვენთვის მეორე სამშობლოდ ქცეულ, კუ-
რთხეულ საფრანგეთის მიწას ვაბარებთ ჩვენი ძველი თაობის
ფრიად ღირსშესანიშნავსა და უკეთილშობილეს ადამიანს,
რომელიც უმწიკველად, უანგაროდ და მამულიშვილურის
ულრმესი შვეგნებით ემსახურა მის სამშობლოსა და ერს და
ქეშმარიტად დიდი ქართველის სახელი დაიმსახურა.

თავისუფალი საქართველოს ჯარების მთავარსარდალი,
ლენერალი გიორგი კვინიტაძე, რომელსაც დამოუკიდებელი
და თავისუფალი საქართველოს ხელისუფლებამ, ერის საბე-
დისწერო და უმძიმეს მომენტში დაავალა და მიანდო უმძი-
მესი საქმე, ქართველი ჯარის სარდლობა—დაგვიანებით,
როცა დიდი რუსეთის ჯარის ნაწილები უკვე ღრმად იყო
შემოჭრილი და დედა ქალაქს ემუქრებოდა.

ლენერალი კვინიტაძე, მის მიერ აღზრდილ იუნკრების
მოწინავე პოზიციებზე მიშვებით, ეკვეთა კოჯორისა თუ სო-
ლანლულის ბრძოლის ველზე რუსის ჯარებს დასაგრძნობლად
უკან დაახეინა. მისმა სახელმა განაცოცხლა გამარჯვების
იმედი ქართველი ხალხის გულში. ამის დასადასტურებლად,
ნებას მივცემ თავს აქ მოვიყვანო გაზეთ «საქართველო» ს
1921 წ. თებ. უკანასკნელ ნომრიდან რამოდენიმე ამონაწერი.

სრულიად საქართველოს ქათალიკოს-პატრიარქ ლეონი-
დეს წერილიდან:

«ენდეთ ჩემს ჭაღარას, როგორც ვერავითარი ძალა ვერ
მოკლევს კავკასიონს თავის ძირიდან, თუარა მიწის ქვეშიდან
ამოხეთქილი ძლიერება, ისე ვერავითარი ძალა ბოლშევიკე-
ბისა ვერას დააკლავს სახელოვან ქართველ ლაშქარს. ღმერ-
მა აქუთხოს ჯარების მთავარსარდალი ლენ. კვინიტაძე და
ქართული ლაშქარი. დიდება და მარადისობა ქართველ ერს.»

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-
ერთი მეთაური გიორგი გვაზავა: «საქართველოს გულიდან,
თბილისს უკვე აღმოხდა ვაშა და გამარჯვების გრილი ეფი-
ნება ჩვეყნიერებას. «ვაშა საქართველოს», ვაშა ქართველი
ჯარის მთავარსარდალს ლენერალ კვინიტაძეს.»

გაზეთ «საქართველო»-ს იმავე ნომერშივე ერთ ერთი რე-
დაქტორი სწერს:

«მისი სახელი ეკერა პირზე ყველას, მტრის ვერაჯულ და
თავხედ შემოტევის პირველსავე გაგებაზე... მისკენ ჰქროდა
გონება ყოველი ქართველი პატრიოტისა, ვისაც სწამდა და
სწამს ბრწყინვალე მომავალი სამშობლოსი მისი ძელა და
უნარი მტერთან საბრძოლველად. მისი სახელოვანი შარავან-

დღით მოსილ პიროვნების გარშემო, შეიკრიბა სხივები ეროვნული ენტუზიაზმისა, ერის ცხოველმყოფელი იმედისა და გამარჯვებისათვის აუცილებელი ნებისყოფისა. მისმა მოწოდებამ სამოქმედო ასპარეზზე—იმედით აღავსო ქვეყნის გული, განამრთულა და განამტკიცა იმედი და რწმენა ქვეყნის ხსნისა და გამარჯვების. იგი კვლავ შეთაურობს უძლეველ მხედრობას, კვლავ მის მძლავრ მარჯვენას ჩაბარდა განწირვის ყაზს ბედი ქართლისა.

კურთხეულ იყავნ მარ ვენა შენი გმირო ქართლისაო!

გზა გამარჯვებისა იყავ მუდმივი და განუწყვეტელი ხვედრი შენი და ძლევამოსილი შენის მხედრობისა! იხსენ ერი შენი განსაცდელისგან.»

— დაგვიანებით, ომის ბოლოდღეებში მთავარსარდლად მიწვეული ლენერალი კვინიტაძე სასწაულ-მოქმედებას ვერ მოახდენდა: ერს განსაცდელისგან ვერ იხსნიდა. რადგან ჩვენი ქვეყანა, იმ დროს, ნაწილობრივ ნივთიერად, ხოლო უმთავრესად სულიერად და იდეურად ასეთი გამოცდისათვის მზად არ იყო. ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიცია ლიტერატურულ მოგონებაში-და ცოცხლობდა, ხოლო ახლად აღმდგარ სახელმწიფოს ფასი და რაობა მხოლოდ რჩეულ მოწინავე ფენას ესმოდა. ყოველივე ამის გამორკვევა მომავალ მიუდგომელ ისტორიკოსის საქმეა.

შენკი ღირსეულო, თავდადებულო ლენერალო და დიდო ქართველო განისვენე ამ უცხო, მაგრამ შენს მეორე სამშობლოს საფლავში.

«ეინცა მოკედეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან».

შენი ხსოვნა, როგორც დიდი ქართველისა სამარადისოდ და სათაყვანებლად დარჩება ქართველი ერის გულში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი.



მწუხარებით ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს ქვემოლ ჩამოთვლილ თანამემამულეთა გარდაცვალებას და თანაკრძობას ვუცხადებთ მათ ოჯახებსა და მეგობრებს.

აბულაძე ვეტიხი, ბაქრაძე ვანო, ბერიძე შერიფ, გაბაშვილი რევაზ, გვეტაძე გრიგოლ, გოგოლაშვილისა ელისაბედ, ერაძე გიორგი, კერესელიძე მათე, კვინიტაძე გიორგი, კალანდარიშვილი გიორგი, მაჭავარიანისა ქეთევან, ტარასაშვილი ალექსანდრე, ტიტგინიძე ლევან, ტუღუში მარკოზ, ქავთარაძე კალე, ჩხიძე გიორგი, ჯინჭარაძე ალექსანდრე, ჯაყელი ნიკოლოზ, ჯაყელისა თამარ.



„ივერია“-ს ფონდი.

შემდგენიერგელთა სია 1971 წლისა.

(ფრანგ. ფრანკებით)

შალვა კალანდაძე	200
გულნარა პატარიძე ურატაძისა	150
კონსტანტინე ალშიბაია	100
ბიჭიკო ახელედინი	100
ვანო ანდრონიკაშვილი	100
აკაკი შავგულიძე	100
გიორგი კახაბერი	100
ოთარ პატარიძე	100
სოშოს სათვისტოშო	100
სევერიან ჭირაქაძე	100
ბაგრატ ჭაჭიაშვილი	100
ალიოშა აბაშიძე	50
თინა პატარიძე ყიფიანისა	50
ივანე ასათიანი	50
ალექსანდრე ნაკაიძე	50
იოსებ ხანანაშვილი	50
მიხეილ ცაგარელი	50
ილია ემუხვარი	50
ილია ზედგინიძე	50
მიხეილ ქავთარაძე	50
გივი ბეგიაშვილი	50
შოთა ბერეჟიანი	50
შელიტონ ქლენტი	30
კობახიძე და შვეობარი	30
მიხეილ გოჯორიშვილი	20
გრიგოლ ქვარცხავა	10



გამომცემლობა-რედაქციის მისამართი:

E. Pataridze

35, rue General Delestraint.

Paris (16)

Imprimerie Coopérative Arpajonnaise. Arpajon.

